სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

350 ხშირად დასმული შეკითხვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

[თანდართული პასუხებით]

სარჩევი

მომხმარებლის სისტემაში რეგისტრაცია და სხვა ზოგადი კითხვები..... 3
სისტემის ტექნიკური მხარე 10
გარანტია/საფასური 12
ტენდერის/კონსოლიდირებული ტენდერის/ კონკურსის მიმდინარეობა..... 21
შავი სია 48
თეთრი სია 55
ხელშეკრულება 60
ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშები (CMR მოდული) 68
კანონიდან გამომდინარე..... 70
კოდები/კლასიფიკატორები 72
სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი/ტექნიკური/სატენდერო დოკუმენტაცია..... 74
აფიდავიტი..... 81
დისკვალიფიკაცია..... 82
სატენდერო/საკონკურსო კომისია და აპარატი 84
დავების განხილვის საბჭო..... 87
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული საკითხები. 97
ინტერესთა კონფლიქტი..... 101
შესყიდვების გეგმა..... 103
გადაუდებელი შესყიდვა..... 106
სასწავლო ცენტრი..... 108
ელექტრონული ხელმოწერის და შტამპის გამოყენება სახელმწიფო შესყიდვებში 110
სხვა 115

მომხმარებლის სისტემაში რეგისტრაცია და სხვა ზოგადი კითხვები

1. ვისთვისაა სავალდებულო სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია?

სისტემაში რეგისტრაცია სავალდებულოა ყველა იმ ორგანიზაციისათვის, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ითვლება შემსყიდველ ორგანიზაციად.

2. რომელი შემსყიდველი ორგანიზაციები ექვემდებარებიან სისტემაში რეგისტრაციას?

სისტემაში რეგისტრაციას ექვემდებარებიან შემდეგი შემსყიდველი ორგანიზაციები:

ა) სახელმწიფო ორგანო (ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები, უწყებები და სხვა დაწესებულებები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები);

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ორგანო (ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოები, უწყებები და სხვა დაწესებულებები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები);

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თვითმმართველი ერთეულის ორგანოები, უწყებები და სხვა დაწესებულებები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები);

დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებული რელიგიური

გაერთიანებებისა);

ე) საწარმო, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;

ვ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდი;

ზ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც:

ზ.ა) დაფუძნებულია სახელმწიფო ორგანოს ან მის მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ;

ზ.ბ) დაფუძნებულია ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოს ან მის მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ;

ზ.გ) დაფუძნებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ან ექვემდებარება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის კონტროლს;

თ) ნებისმიერი სხვა პირი ან ორგანო, რომელიც, კანონით ან სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტით, მიჩნეულია შემსყიდველ ორგანიზაციად და ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას.

3. როგორ დავრეგისტრირდეთ სისტემაში?

სისტემაში დასარეგისტრირებლად შემსყიდველმა ორგანიზაციამ ან მიმწოდებელმა უნდა შეავსოს სისტემაში რეგისტრაციის განაცხადი, დაეთანხმოს სისტემის გამოყენების წესებს და გამოიყენოს ელ. ფოსტის მისამართზე მიღებული მომხმარებლის აქტივაციის ბმული.

რეგისტრაციის განაცხადის შევსებისა და სისტემის მოხმარების წესებზე თანხმობის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი წერილობით წარუდგენს სააგენტოს შევსებულ განაცხადს, რომელიც გენერირებულია სისტემის მეშვეობით. განაცხადი სააგენტოს წარედგინება ოფიციალურ წერილთან ერთად, ელექტრონული ფოსტის მისამართზე registration@spa.ge. ოფიციალური წერილი შესრულებული უნდა იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე და მას ხელს უნდა აწერდეს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი.

ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია მათი დაფუძნების და/ან დაფინანსების წყაროს შესახებ, კერძოდ:

1. სახელმწიფო ორგანო ვალდებულია, განაცხადსა და ოფიციალურ წერილთან ერთად, დამატებით წარადგინოს მისი შექმნის დამადასტურებელი ნორმატიული აქტი (იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ორგანო შექმნილია კანონით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა მიუთითოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტის დასახელება და მუხლი (საჭიროების შემთხვევაში, პუნქტის (ნაწილის) მითითებით);

2. ავტონომიური რესპუბლიკის ორგანო, ვალდებულია,

განაცხადსა და ოფიციალურ წერილთან ერთად, დამატებით წარადგინოს მისი შექმნის დამადასტურებელი ნორმატიული აქტი (იმ შემთხვევაში, თუ ავტონომიური რესპუბლიკის ორგანო შექმნილია კანონით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა მიუთითოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტის დასახელება და მუხლი (საჭიროების შემთხვევაში, პუნქტის (ნაწილის) მითითებით)

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ვალდებულია,

განაცხადსა და ოფიციალურ წერილთან ერთად, დამატებით წარადგინოს მისი შექმნის დამადასტურებელი ნორმატიული აქტი (იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო შექმნილია კანონით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა მიუთითოს შესაბამისი

საკანონმდებლო აქტის დასახელება და მუხლი (საჭიროების შემთხვევაში, პუნქტის (ნაწილის) მითითებით);

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირი სისტემაში რეგისტრაციისას, ვალდებულია განაცხადსა და ოფიციალურ წერილთან ერთად, დამატებით წარადგინოს მისი შექმნის დამადასტურებელი ნორმატიული აქტი (იმ შემთხვევაში, თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი შექმნილია კანონით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა მიუთითოს

შესაბამისი საკანონმდებლო აქტის დასახელება და მუხლი (საჭიროების შემთხვევაში, პუნქტის (ნაწილის) მითითებით);

5. საწარმო ვალდებულია, განაცხადსა და ოფიციალურ წერილთან

ერთად, დამატებით წარადგინოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერი, რომლითაც დასტურდება სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ამ საწარმოს აქციათა ან წილის 50%-ზე მეტის ფლობა;

6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ვალდებულია, განაცხადსა და ოფიციალურ წერილთან ერთად, დამატებით წარადგინოს მისი დაფუძნების შესახებ სამართლებრივი აქტი და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

ამასთან, სააგენტო უფლებამოსილია, შემსყიდველ ორგანიზაციას მოსთხოვოს ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია მისი სისტემაში რეგისტრაციისათვის.

4. სააგენტო რა ვადაში ახდენს რეგისტრაციის განაცხადისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის მიღებიდან შემსყიდველის სიტემაში რეგისტრირებას?

სააგენტო 1 თვის ვადაში ახორციელებს შემსყიდველის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციის შემოწმებას და ხარვეზის არ არსებობის შემთხვევაში ახდენს შემსყიდველის სისტემაში რეგისტრაციას. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შეიცავს ხარვეზს, სააგენტო შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობებს

აღმოჩენილი ხარვეზის შესახებ და განუსაზღვრავს არაუმეტეს 15 დღის ვადას მის გამოსასწორებლად. ამასთან, ხარვეზის გამოსწორებამდე 1 თვიანი ვადის დინება ითვლება შეჩერებულად და ვადის ათვლა გაგრძელდება შემსყიდველის მიერ ხარვეზის გამოსწორებისთანავე.

5. როგორ ახდენს სააგენტო რეგისტრირებულ მომხმარებელთან ოფიციალურ მიმოწერას?

სააგენტო უფლებამოსილია, რეგისტრირებულ მომხმარებლებს ოფიციალური შეტყობინება გაუგზავნოს სისტემაში მათ პროფილში მითითებულ მისამართზე, ტელეფონის ნომერზე ან ელექტრონულ ფოსტაზე.

6. როგორ უნდა მოვიქცეთ სისტემაში შესასვლელი პაროლის დაკარგვის შემთხვევაში, თუ ცნობილია მომხმარებლის სახელი?

პაროლის დაკარგვის შემთხვევაში, შესაძლებელია მისი აღდგენა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მთავარ გვერდზე ღილაკზე: „პაროლის აღდგენა“ დაჭერით. პაროლის აღდგენასთან

დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იხილეთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელოში.

7. როგორ უნდა მოვიქცეთ სისტემაში შესასვლელი მომხმარებლის სახელის დაკარგვის შემთხვევაში?

რეგისტრაციის დროს მითითებულ ელ. ფოსტაზე მოიძიეთ აქტივაციის წერილი სისტემიდან, რომელიც გამოგზავნილია შემდეგი ელ. ფოსტის მისამართიდან (registration@tenders.gov.ge). ზემოაღნიშნულ წერილში მითითებული არის მომხმარებლის სახელი.

8. როგორ უნდა მოვიქცეთ სისტემაში შესასვლელი მომხმარებლის სახელის დაკარგვის შემთხვევაში, თუ ვერ იქნა მოძიებული აქტივაციის წერილი?

მივმართავთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური წერილით, რომელშიც იქნება მომხმარებლის სახელის გადაგზავნის მოთხოვნა. ოფიციალური წერილი შესრულებული უნდა იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის/მიმწოდებლის ოფიციალურ ბლანკზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მას ხელს უნდა აწერდეს შემსყიდველი ორგანიზაციის/მიმწოდებლის უფლებამოსილი პირი და მასში უნდა მიეთითოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაცემები (სახელი და გვარი, პირადი ნომერი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი).

9. როგორ უნდა მოვიქცეთ სისტემაში რეგისტრაციისას მითითებული ელ. ფოსტის შემოწმების შეუძლებლობის შემთხვევაში?

მივმართავთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური წერილით, რომელშიც იქნება ძველი ელ. ფოსტის ახალი ელ. ფოსტით შეცვლის მოთხოვნა. ზემოაღნიშნული წერილის დასკანერებული ვერსია უნდა გამოაგზავნოთ ელ. ფოსტაზე registration@spa.ge. ოფიციალური წერილი შესრულებული უნდა იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის/მიმწოდებლის ოფიციალურ ბლანკზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მას ხელს უნდა აწერდეს შემსყიდველი ორგანიზაციის/მიმწოდებლის უფლებამოსილი პირი და მასში უნდა მიეთითოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაცემები (სახელი და გვარი, პირადი ნომერი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი), აგრეთვე ახალი ელექტრონული ფოსტის მისამართი.

10.რა ვადაში მოახდენს სააგენტო მომხმარებლის სახელის გადაგზავნას და ძველი ელ. ფოსტის ახლით ჩანაცვლებას?

წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

11.როგორ უნდა მოვიქცეთ შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელების/საიდენტიფიკაციო კოდის სისტემაში შეცდომით მითითების შემთხვევაში?

მივმართავთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური წერილით დასახელების/საიდენტიფიკაციო კოდის შესწორების თხოვნით. წერილს უნდა დაერთოს ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ორგანიზაციის დასახელება. ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია უნდა გამოაგზავნოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელ. ფოსტაზე registration@spa.ge.

12.როგორ უნდა მოვიქცეთ მიმწოდებლის სახელის/დასახელების ან/და საიდენტიფიკაციო კოდის შეცდომით მითითების შემთხვევაში?

მივმართავთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური წერილით კოდის შესწორების თხოვნით. წერილს უნდა დაერთოს ოფიციალური დოკუმენტი (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ან ინდივიდუალური მეწარმის/ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი), რომელშიც ასახულია მიმწოდებლის სახელი/დასახელება ან/და საიდენტიფიკაციო კოდი. ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია უნდა გამოაგზავნოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელ. ფოსტაზე registration@spa.ge.

13.როგორ უნდა მოვიქცეთ შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელების/საიდენტიფიკაციო კოდის შესაცვლელად?

მივმართავთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური წერილით ძველი ორგანიზაციის დეაქტივაციის მოთხოვნით. წერილს უნდა დაერთოს ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც მოხდა შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელების/საიდენტიფიკაციო კოდის ცვლილება და ახალი ორგანიზაციის სისტემაში რეგისტრაციის განაცხადი. ზემოაღნიშნული

დოკუმენტაცია უნდა გამოაგზავნოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელ. ფოსტაზე registration@spa.ge.

14. შესაძლებელია თუ არა დეაქტივირებულ პროფილში მიმდინარე ხელშეკრულებებისათვის სტატუსის მინიჭება?

დეაქტივირებულ პროფილში შესაძლებელია ქმედებების დასრულება.

15. როგორ უნდა მოვიქცეთ მიმწოდებლის სახელის/დასახელების შესაცვლელად?

მივმართავთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური წერილით სახელის ცვლილების თხოვნით. წერილს უნდა დაერთოს ოფიციალური დოკუმენტი (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ან ინდივიდუალური მეწარმის/ფიზიკური პირის შემთხვევაში, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი), რომელშიც ასახულია მიმწოდებლის სახელი/დასახელება ან/და საიდენტიფიკაციო კოდი. ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია უნდა გამოაგზავნოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელ. ფოსტაზე registration@spa.ge.

16. რა შემთხვევაში არ განიხილება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის გაგზავნილი წერილი?

წერილი უნდა იყოს გასაგები და გარჩევადი, წინააღმდეგ შეთხვევაში, მოთხოვნა არ შესრულდება.

17. როგორ ხდება ორგანიზაციის პროფილში ახალი მომხმარებლის დამატება და თუ არის შესაძლებელი უფლებამოსილ მომხმარებელს შეეზღუდოს უფლება?

მომხმარებლის დამატება ხდება "გრანტორის" პროფილიდან სისტემაში შესვლის და პროფილში ახალი ჩანაწერის გაკეთებით, ხოლო იმ მომხმარებელს ვისთვისაც გსურთ, რომ შეეზღუდოს წვდომა, უნდა გაუთიშოთ ღილაკი "აქტიური".

სისტემის ტექნიკური მხარე

18. გადახდისას როდესაც გვაქვს შეტყობინება „ტრანზაქცია არ განხორციელდა“, მოქმედების რა ხერხს უნდა მივმართოთ?

პირველ რიგში სააგენტოს ვებ–გვერდზე უნდა გადამოწმდეს სიახლეების ველში ხომ არ არის შეტყობინება სისტემის შეფერხების თაობაზე. შეტყობინების არ არსებობის შემთხვევაში მომხმარებელმა უნდა მიმართოს ბანკს და გადაამოწმოს შესაძლებელია თუ არა მისი ბარათით ელექტრონული გადახდის ტრანზაქციის შესრულება და არის თუ არა საკმარისი თავისუფალი თანხა მის საბარათე ანგარიშზე ან მოსთხოვოს ბანკს წარუმატებელი ტრანზაქციის შესახებ დეტალური ინფორმაცია.

19. „მოთხოვნა არ შესრულდა სერვერთან დაკავშირებისათვის განკუთვნილი დროის ამოწურვის გამო“ -რა პრობლემას მიანიშნებს ეს მესიჯი?

კლიენტის მხრიდან არსებულ პრობლემას. ასეთ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს ინტერნეტზე წვდომა, ან ინტერნეტის სიჩქარე სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების პირობებში მითითებულ მინიმუმზე ნაკლები ხომ არ არის. იმისათვის, რომ სისტემამ გამართულად შეძლოს ფუნქციონირება ინტერნეტის სიჩქარე 2 მეგაბიტზე ნაკლები არ უნდა იყოს.

20. მაქსიმუმ რა ზომის ფაილი იტვირთება სისტემაში?

თითოეული ფაილის ცალკე აღებული ზომა უნდა იყოს არაუმეტეს 20 მეგაბაიტისა.

21. რა შეზღუდვები არსებობს სისტემაში ატვირთული ფაილების ჯამურ ზომასთან დაკავშირებით?

ჯამური ზომა არ არის შეზღუდული.

22. მიმწოდებელს თუ აქვს შესაძლებლობა, რომ სისტემის საშუალებით მიიღოს შეტყობინება, მისთვის საინტერესო თემატიკაზე გამოცხადებული ტენდერის შესახებ?

მიმწოდებელს თავისი პროფილიდან შეუძლია აირჩიოს მისთვის საინტერესო CPV-კოდის დანაყოფი/დანაყოფები, რის შედეგადაც მიიღებს ტენდერის გამოცხადების შესახებ სისტემურ შეტყობინებას. ასევე, სურვილის შემთხვევაში, მიმწოდებლებს საშუალება აქვთ აღნიშნული შეტყობინება მიიღონ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.

23. სტუმარს რა სახის ინფორმაციის დანახვა შეუძლია სისტემაში?

სტუმრისთვის ხელმისაწვდომია ყველა ინფორმაცია, გარდა შესყიდვების წლიური გეგმების, SMP და CMR მოდულისა. თუმცა, სტუმრის სტატუსით Facebook მოდულით ავტორიზაციის გავლის შემდგომ აღნიშნული მოდულები ხელმისაწვდომია.

გარანტია/საფასური

24. რომელი ბანკის ბარათებით არის შესაძლებელი წინადადების უზრუნველყოფის საგარანტიო თანხის გადარიცხვა და საფასურის გადახდა?

თანხის გადახდა შესაძლებელია ნებისმიერი ბანკის მიერ გაცემული პლასტიკური ბარათით, რომელსაც მისი გამცემის მიერ მინიჭებული აქვს ვებ-გადახდის ფუნქცია.

25. აუცილებელია თუ არა ბიზნეს ბარათის ქონა?

არა.

26. წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, როდესაც ბარათიდან ხდება თანხის დროებით გადარიცხვა, თუ არსებობს ლიმიტი და რა თანხით განისაზღვრება?

სისტემურად ამგვარი ლიმიტი არ არსებობს, თუმცა შესაძლოა თავად ბარათის გამცემ ბანკს ქონდეს დაწესებული ლიმიტი გადარიცხვებზე.

27. როგორ ხდება წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გადარიცხული თანხის სტატუსის შესახებ ინფორმაციის მიღება?

საგარანტიო თანხის ბარათის მეშვეობით წარდგენის შემთხვევაში შესაძლებელია სისტემის მეშვეობით ინფორმაციის მიღება. ყოველი ტენდერის შეთავაზებებში=>გადახდები/ დაბლოკილი თანხები, დასაწყისში მითითებულია თანხის ოდენობა და სტატუსი: დაბლოკილია (ბლოკის თარიღი და დრო) ან დაბრუნებულია (დაბრუნების თარიღი და დრო) ან ჩამოჭრილია (ჩამოჭრის თარიღი და დრო).

28. სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის, ასევე საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის გადახდა რომელ ანგარიშზე ხდება? სად უნდა ჩაირიცხოს ეს ფული ?

საფასური გადაიხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე. საფასურის გადახდა ხდება მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშიდან, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

29. რა ვადაში უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური?

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური გადაიხადოს შესაბამის ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების ვადის დასრულებიდან 30 დღის ვადაში ნებისმიერი პერიოდულობით, გამოცხადებული ტენდერების რაოდენობის შესაბამისად.

30.შესაძლებელია, რომ ელექტრონული გარანტიის თანხა აღემატებოდეს სატენდერო განცხადებაში მითითებული გარანტიის ოდენობას?

ელექტრონული გარანტია უნდა იყოს ზუსტად იმ თანხაზე, რაც მითითებულია სატენდერო განცხადებაში – შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 1%.

31.ხდება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება?

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია, თუ კონკრეტული ხელშეკრულების ჯამური ღირებულება აღემატება 30 000 000 ლარს. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია მისი საქმიანი რეპუტაციისა და მის მიერ წარმოებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ხარისხისა და ცნობადობის გათვალისწინებით.

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარი ანგარიშწორებისას გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლის არსებობისას:

მიმწოდებლისათვის წინასწარ გადასახდელი თანხა ჩაირიცხება საამისოდ განკუთვნილ ცალკე საბანკო ანგარიშზე და ამ თანხის გამოყენება მოხდება შემსყიდველი ორგანიზაციის კონტროლით ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში. საამისოდ ცალკე საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული წინასწარ გადასახდელი თანხის კონტროლი შესაძლებელია მოიცავდეს თანხის განკარგვის წინასწარ კონტროლს, დადგენილი ზღვრული ოდენობის თანხის განკარგვის წინასწარ კონტროლს და გახარჯული თანხის შემდგომ კონტროლს, თუ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

კონკრეტული ხელშეკრულების ჯამური ღირებულება აღემატება 30 000 000 მილიონ ლარს. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია მისი საქმიანი რეპუტაციისა და მის მიერ წარმოებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ხარისხისა და ცნობადობის გათვალისწინებით;

მიმწოდებლის პასუხისმგებლობა შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე მუდმივად უზრუნველყოფილია ერთიანი გარანტიით;

თუ გამარტივებული შესყიდვა ხორციელდება:

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების, აგრეთვე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ;

ინტერნეტით გამოწერის გზით;

წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებით;

საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით.

თუ მიმწოდებელი რეგისტრირებულია თეთრ სიაში, იგი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს წინასწარ გადასახდელი თანხის ნახევარი ოდენობის გარანტიას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

32.არის თუ არა საჭირო საფასურის გადახდა სატენდერო/საკონკურსო წინადადების წარსადგენად?

სატენდერო/საკონკურსო წინადადების წარსადგენად სავალდებულოა საფასურის გადახდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე. წინადადების წარდგენისათვის საფასურის ოდენობა შეადგენს 50 ლარს.

33.რა არის გამოქვეყნების საფასური?

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით სატენდერო/საკონკურსო განცხადებისა და სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნებისათვის შემსყიდველი ორგანიზაცია იხდის გამოქვეყნების საფასურს.

სატენდერო/საკონკურსო განცხადებისა და სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური გადაიხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

34.რა არის გამოქვეყნების საფასურის ოდენობა?

სისტემის მეშვეობით ერთი სატენდერო/საკონკურსო განცხადებისა და სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნებისათვის საფასურის ოდენობა შეადგენს:

ა) 50 ლარს, როდესაც შესაბამის სატენდერო/საკონკურსო წინადადების მიღების ვადის დასრულების მომენტისთვის სატენდერო/საკონკურსო წინადადება წარმოადგინა სულ მცირე ერთმა პრეტენდენტმა ან როდესაც ტენდერს/კონკურსს მიენიჭა სტატუსი „შეწყვეტილია“;

ბ) 25 ლარს, როდესაც შესაბამის ტენდერში/კონკურსში სატენდერო/საკონკურსო წინადადების მიღების ვადის დასრულების

მომენტისთვის სატენდერო/საკონკურსო წინადადება არ წარმოუდგენია არცერთ პრეტენდენტს.

35.რა უნდა იყოს მითითებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში?

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

36.რა შემთხვევაში ხდება საფასურის უკან დაბრუნება?

გადახდილი საფასურის უკან დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფასური შეცდომით გადახდილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ განაკვეთზე მეტი ოდენობით. ამ შემთხვევაში ბრუნდება სხვაობა გადახდილ თანხასა და კანონით განსაზღვრულ განაკვეთს შორის.

შეცდომით ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შესახებ სააგენტოში წარმოდგენილი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს შეცდომით გადახდილი ზედმეტი თანხის დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას და შესაბამის დოკუმენტაციას. შეცდომით ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების თაობაზე დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააგენტო ამ მოთხოვნას ათი სამუშაო დღის ვადაში უგზავნის თანხის დაბრუნებაზე შესაბამის უფლებამოსილ პირს. სააგენტოში მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს შეცდომით ზედმეტად გადახდილი თანხის გადახდიდან სამი თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ ზედმეტად გადახდილი თანხა არ ბრუნდება. ამ ვადის გაგრძელება ან გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.

37.რა ოდენობის არის წინადადების უზრუნველყოფის საგარანტიო თანხა?

წინადადების უზრუნველყოფის საგარანტიო თანხის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 %-ს. ხოლო ელექტრონული ტენდერის პრეისკურანტის საფუძველზე ჩატარების შემთხვევაში – შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ის ოდენობით

38.სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის წარდგენა როდის ხდება?

სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის წარდგენა ხდება აფიდავიტის პირობებზე დათანხმების შემდგომ სატენდერო წინადადების საფასურის გადახდამდე.

39.ვინ არის ელექტრონული გარანტიის ბენეფიციარი?

ელექტრონული გარანტიის ბენეფიციარი/მიმღები არის სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

40.ვინ არის გარანტიის გამცემი ორგანიზაცია?

ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია.

41.სისტემურად როგორ და როდის ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა?

სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების მეშვეობით. ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ხდება ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე.

42.რა ეტაპზე ხდება საფასურის გადახდა?

საფასურის გადახდა ხდება აფიდავიტის პირობებზე დათანხმებისა და ელექტრონული გარანტიის წარდგენის შემდეგ, ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვამდე.

43.რა შემთხვევაში არ ხდება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი გარანტიის უკან დაბრუნება?

იგი უარს იტყვის სატენდერო წინადადებაზე;

იგი არ წარადგენს სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტ(ებ)ს დადგენილ ვადაში ან მის მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი არ შეესაბამება სატენდერო პირობებს, გარდა N12 ბრძანების მე-40 მუხლის მე-7 და მე-10 პუნქტებით, ასევე 41-ე მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;

იგი უარს ამბობს ან სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე;

იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

N12 ბრძანების მე-40 მუხლის მე-15 და მე-19 პუნქტების ან 41-ე მუხლის მე-18 და მე-19 პუნქტების შესაბამისად, იგი არ წარადგენს ხარჯთაღრიცხვას დადგენილი წესით, არ დააზუსტებს მას დადგენილ ვადაში, დაზუსტების შედეგად არსებითად შეცვლის მას ან/და გაზრდის წინადადების ფასს, ან/და არ წარადგენს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელ დოკუმენტ(ებ)ს ან ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი არ შეესაბამება სატენდერო პირობებს ან/და ტექნიკურ დოკუმენტაციას;

44.რა ვადაში ხდება ბარათით წარდგენილი სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საგარანტიო თანხის მიმწოდებლის ანგარიშზე დაბრუნება და ელექტრონული გარანტიის გაუქმება?

ტენდერისათვის საბოლოო სტატუსის ან/და ტექნიკური დოკუმენტაციის გამო პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის მინიჭებიდან 10 კალენდარული დღის შემდგომ ბანკებს ეგზავნებათ სისტემური შეტყობინება თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით, ხოლო ელ-გარანტიის გამცემ ორგანიზაციებს ელექტრონული გარანტიის გაუქმების შესახებ. მას შემდგომ რაც ბანკი მიიღებს შეტყობინებას თანხის დაბრუნების შესახებ,

მათ დაახლოებით სტანდარტულად 3, მაქსიმუმ 4 სამუშაო დღე სჭირდებათ თანხის საბარათე ანგარიშზე ასახვისათვის.

45. რა შემთხვევაში შეიძლება გათავისუფლდეს პრეტენდენტი ან პოტენციური მიმწოდებელი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენისაგან?

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენისგან შესაძლებელია გათავისუფლდეს გამარჯვებული პრეტენდენტი მისი საქმიანი რეპუტაციისა და მის მიერ წარმოებული საქონლის, გაწეული მომსახურების ან/და შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და ცნობადობის გათვალისწინებით, აგრეთვე თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი, თუ ჩამოთვლილი საფუძვლებით მიმწოდებლის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენისგან გათავისუფლების შესაძლებლობა და პირობები მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

46. როდის არის სავალდებულო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნა?

ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის მოთხოვნა სავალდებულოა, თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს.

47. თუ პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი ჩამოცდა 200 000 ლარს, ვალდებულია თუ არა შემსყიდველი ორგანიზაცია მოსთხოვოს გამარჯვებულ პრეტენდენტს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა?

თუ გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული წინადადების საბოლოო ფასი ნაკლებია 200 000 ლარზე, დაუშვებელია პრეტენდენტს მოეთხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატენდერო დოკუმენტაციაში დასაბუთებულია, თუ შესყიდვის ობიექტის რა თავისებურებამ განაპირობა გარანტიის მოთხოვნა.

48. სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენა თუ შეიძლება?

შესაძლებელია, თუ სატენდერო დოკუმენტაციაში ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის დროს, ცალსახად არ არის მოთხოვნილი მხოლოდ ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია

49.რა ეტაპზე უნდა მოხდეს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენა?

ხელშეკრულების შესრულების გარანტია ან დაზღვევა, მათი მოთხოვნისას, გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში შესაძლებელია წარედგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულების დადების შემდგომ, ხოლო ტენდერის საშუალებით შესყიდვის შემთხვევაში წარდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების დადებამდე.

ტენდერის/კონსოლიდირებული ტენდერის/ კონკურსის მიმდინარეობა

50.რა არის ტენდერი ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე?

2016 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა ელექტრონული ტენდერის ახალი მეთოდი – ტენდერის გამოცხადება ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე (სისტემაში შემოკლებით აღინიშნება, როგორც „ტენდერი აუქციონის გარეშე“). აუქციონის გარეშე ტენდერი წარმოადგენს ორდინალური ტენდერის ალტერნატიულ მეთოდს.

51.რა განსხვავებაა ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით ტენდერს და ორდინალურ ტენდერს შორის?

ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით ტენდერს და ორდინალურ ტენდერს შორის განსხვავება მდგომარეობს შემდეგში:

ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით ტენდერში არ ტარდება ელექტრონული ვაჭრობის რაუნდები. ელექტრონული ვაჭრობის ძირითად დროში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემდეგ, ელექტრონული ვაჭრობის ძირითადი დროის დასრულებამდე, პრეტენდენტს უფლება აქვს, მხოლოდ ერთხელ შეამციროს მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ფასი არანაკლებ ერთი ბიჯის ოდენობით.

ელექტრონული ვაჭრობის ძირითად დროში სისტემა უზრუნველყოფს პრეტენდენტების რაოდენობის, მათი ვინაობისა და სატენდერო წინადადებების ანონიმურობას. ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებისთანავე საჯარო ხდება მხოლოდ ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის ვინაობა და მისი სატენდერო წინადადება;

შერჩევა-შეფასების ეტაპზე მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის ვინაობა და ტექნიკური დოკუმენტაცია ხდება საჯარო წინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში.

ტენდერისთვის საბოლოო სტატუსის მინიჭებისთანავე, გარდა სტატუსისა „ტენდერი შეწყვეტილია“ საჯარო ხდება სხვა პრეტენდენტების ვინაობები და მათი სატენდერო წინადადებები.

ტენდერის შეწყვეტის შემთხვევაში განუხილველი პრეტენდენტების ვინაობები და მათი სატენდერო წინადადებები სისტემაში რჩება დამალული.

52. არის თუ არა სატენდერო წინადადების ფასის კლების რაოდენობა შეზღუდული ძირითადი დროის განმავლობაში?

არ არის შეზღუდული ელექტრონულ ტენდერში. განსხვავებით დამატებითი რაუნდებისგან, როდესაც თითო რაუნდში მხოლოდ ერთხელ შეიძლება ფასის წარდგენა. მთლიანობაში 3 რაუნდში 3-ჯერ არის შესაძლებელი ფასის კლება.

ხოლო რაც შეეხება აუქციონის გარეშე გამოცხადებულ ტენდერს, შეთავაზებული ფასის კლება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ერთხელ ვაჭრობის ძირითად დროში.

53. ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობის რა ეტაპზე შეუძლიათ პრეტენდენტებს სხვა პრეტენდენტების და მათი წარდგენილი წინადადებების დანახვა?

ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში სხვა პრეტენდენტების წინადადებების დანახვა შესაძლებელია ძირითადი დროის ამოწურვის შემდეგ[1].

54. რა ვადაში განიხილავს სატენდერო კომისია ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის წინადადებას?

ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. ეს ვადა შესაძლოა გაგრძელდეს 5 სამუშაო დღით, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც უნდა ემყარებოდეს ობიექტურ მიზეზებს.

[1] ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით ტენდერის შემთხვევაში იხილეთ 51-ე კითხვა.

55.„მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“-ამ სტატუსის მინიჭებიდან რა ვადაშია შესაძლებელი ხელშეკრულების ატვირთვა?

ხელშეკრულების ატვირთვა შესაძლებელია „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ სტატუსის მინიჭებიდან 3 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ.

კონკურსის შემთხვევაში, ხელშეკრულების ატვირთვა შესაძლებელია 5 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ[2].

56.რა ეტაპზეა შესაძლებელი სისტემის მეშვეობით კითხვა-პასუხის მოდულის გამოყენება?

ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „გამოცხადებულია“ მინიჭებიდან ტენდერის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭებამდე, სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ ნებისმიერ მომხმარებელს უფლება აქვს, სატენდერო კომისიას, სისტემაში არსებული „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით, მოსთხოვოს სატენდერო პირობების კონკრეტული ჩანაწერის განმარტება. ხოლო შემდგომში ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების/ქმედების თაობაზე განმარტების მოთხოვნის უფლება აქვს ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან ტენდერის სტატუსის „ხელშეკრულება დადებულია“ მინიჭებამდე.

57.როდის აღარ შეიძლება ტექნიკური დოკუმენტაციის დამატება ან წაშლა?

სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემდგომ რაიმე სახის ცვლილების განხორციელება ტექნიკურ დოკუმენტაციაში შეუძლებელია.

58.ტენდერის დასრულების შემდგომ, თუ შეუძლია პრეტენდენტს სატენდერო წინადადებაზე უარის თქმა?

ხელშეკრულების დასადებად მოწვევამდე შესაძლებელია.

[2] განმარტება „კონკურსის“ შესახებ იხილეთ 93-ე კითხვაში.

59.რა შედეგები მოყვება პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებაზე უარის თქმას?

პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებაზე უარის თქმის შემთხვევაში პრეტენდენტს არ დაუბრუნდება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია.

60.რას ნიშნავს ტენდერის სტატუსები?

ელექტრონული ტენდერის სტატუსი ასახავს ტენდერის მიმდინარეობის კონკრეტულ ეტაპს.

61.ტენდერის რა სტატუსები არსებობს და როგორ ენიჭება ისინი?

„ტენდერი გამოცხადებულია“ – სისტემა ავტომატურად ანიჭებს ტენდერს აღნიშნულ სტატუსს, მას შემდეგ რაც შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი დაარეგისტრირებს სატენდერო განცხადებას.

„წინადადებების მიღება დაწყებულია“ – სისტემა ავტომატურად ანიჭებს ტენდერს აღნიშნულ სტატუსს, მას შემდეგ რაც სატენდერო განცხადებით დადგენილი წინადადებების მიღების ვადა დადგება.

„წინადადებების მიღება დასრულებულია“ – სატენდერო წინადადების ვადის დასრულებისა და დამატებითი რაუნდების დასრულების შემდგომ სისტემა ავტომატურად ანიჭებს ტენდერს აღნიშნულ სტატუსს, იმ შემთხვევაში თუ ტენდერში მინიმუმ ერთი მონაწილე მაინც მონაწილეობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ტენდერს მიენიჭება სტატუსი „არ შედგა“.

„შერჩევა/შეფასება“ – „წინადადებების მიღება დასრულებულია“ სტატუსის შემდეგ, სისტემა ავტომატურად ანიჭებს ტენდერს აღნიშნულ სტატუსს.

„გამარჯვებული გამოვლენილია“ – აღნიშნული სტატუსის მინიჭება ხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მას შემდეგ, რაც იგი სისტემაში ატვირთავს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმს, რომლითაც დასტურდება, რომ ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, ნიმუში, ექსპერტიზის

დასკვნა ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი შეესაბამება სატენდერო პირობებს

„მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ – აღნიშნული სტატუსის მინიჭება ხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მას შემდეგ რაც სისტემაში აიტვირთება პრეტენდენტის ხელშეკრულების დასადებად მოწვევის დამადასტურებელი დოკუმენტი.

„ხელშეკრულება დადებულია“ – აღნიშნული სტატუსის მინიჭება ხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მას შემდეგ რაც სისტემაში აიტვირთება მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულება (ამ სტატუსის მისანიჭებლად აუცილებელია შემსყიდველმა მიუთითოს შესყიდვის ობიექტის CPV კოდი).

„დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ – სტატუსი ტენდერს ავტომატურად ენიჭება, თუ მასში მონაწილე ყველა პრეტენდენტმა ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებამდე უარი თქვა სატენდერო წინადადებაზე ან ტენდერში მონაწილე ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე ყველა პრეტენდენტმა მიიღო დისკვალიფიკაცია.

„ტენდერი არ შედგა“ – სისტემა ავტომატურად ანიჭებს ტენდერს აღნიშნულ სტატუსს, მას შემდეგ რაც არც ერთმა მიმწოდებელმა არ მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში.

„ტენდერი შეწყვეტილია“ – აღნიშნული სტატუსის მინიჭება ხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მას შემდეგ რაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება ტენდერის შეწყვეტის თაობაზე და ტენდერის შეწყვეტის ოქმის ველში აიტვირთება შესაბამისი დოკუმენტაცია.

62. რა არის ელექტრონული ვაჭრობის ძირითადი დრო?

წარმოადგენს სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ ეტაპს, რომელიც იწყება სტატუსის „ტენდერი გამოცხადებულია“ ეტაპის დასრულებისთანავე და გრძელდება სატენდერო განცხადებაში მითითებული წინადადებების მიღების დასრულებამდე.

63.რა არის და რა პრინციპით მიმდინარეობს ვაჭრობის დამატებითი რაუნდები?

ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით გამოცხადებულ ტენდერში დამატებითი რაუნდები არ გვხვდება, ხოლო ორდინალურ ელექტრონულ ტენდერში ვაჭრობის დამატებითი სამი რაუნდი იწყება ძირითადი დროის დასრულებისთანავე და გრძელდება „წინადადების მიღება დასრულებულია“ ეტაპის დაწყებამდე. ელექტრონული ვაჭრობის ძირითადი დროის დასრულების შემდეგ, იწყება პირველი დამატებითი რაუნდი ხუთწუთიანი შესვენებით, ხოლო შემდგომი თითოეული დამატებითი რაუნდის დაწყებამდე მიმდინარეობს ორწუთიანი შესვენება. თითოეულ დამატებით რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი ან დატოვოს ფასი უცვლელი, რისთვისაც თითოეულ პრეტენდენტს განესაზღვრება ორი წუთი.

64.რა პრინციპით ხდება დამატებით რაუნდებში პრეტენდენტთა მიმდევრობის გადანაწილება?

პირველ დამატებით რაუნდში შეთავაზების რიგითობა განისაზღვრება პრეტენდენტთა მიერ ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასების მიხედვით, კერძოდ, პირველ დამატებით რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე მაღალი წინადადების ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში – ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე მაღალი წინადადების ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ბოლომ დააფიქსირა ასეთი ფასი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის.

65.როდის ხდება ფასის დაფიქსირება?

სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ.

66.როგორ განისაზღვრება წინადადების წარდგენილი ფასი?

სატენდერო წინადადების ფასი არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას ან უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, სულ მცირე, ერთი ბიჯით ნაკლები.

67.რა არის გამარტივებული შესყიდვა?

შესყიდვის საშუალება, რომელიც გამოიყენება:

5 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას;

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ 50 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების, აგრეთვე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში 20 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ:

საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან სამშენებლო სამუშაოს შესრულება მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა;

არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა;

მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან;

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის გათვალისწინებულია შეზღუდული ვადები;

ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა;

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით;

ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წლოვანების ან/და პირობების მქონე გარანტიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეისყიდის ლიტერატურას (ბეჭდურს, ელექტრონულ ან აუდიოვიზუალურ მატარებელზე განთავსებულს), რეაქტივს, კომპიუტერულ პროგრამას, ფარმაცევტულ პროდუქტს (სამკურნალო საშუალებას), ლაბორატორიულ აღჭურვილობასა და მონაცემთა ბაზას;

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდი სახელმწიფო შესყიდვას ახორციელებენ რეგენტთა საბჭოს თანხმობით.

ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული, საზღვარგარეთ გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქის საქართველოში გადმოსვენებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა.

68. რომელ შემსყიდველებზე ვრცელდება გამარტივებული შესყიდვის მონეტარული ზღვარი 50 000 ლარამდე?

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებებზე.

69. რომელ შემსყიდველებზე ვრცელდება გამარტივებული შესყიდვის მონეტარული ზღვარი 20 000 ლარამდე?

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში.

70.რა ინფორმაციას მოიცავს სატენდერო განცხადება?

ა) შესყიდვის ტიპს (რომელი მეთოდით ტარდება ელექტრონული ტენდერი);

ბ) სატენდერო განცხადების ნომერი (გენერირდება და ენიჭება სისტემურად);

გ) შესყიდვის სტატუსი

დ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება (ენიჭება სისტემურად);

ე) ტენდერის გამოცხადების თარიღი ზუსტი დროის მითითებით(ენიჭება სისტემურად);

ვ) წინადადებების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღი ზუსტი დროის მითითებით(წინადადების მიღების დაწყების ვადა განისაზღვრება სისტემურად ხოლო დასრულების ვადას უთითებს შემსყიდველი);

ზ) დაფინანსების წყარო

თ) შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება

ი) მითითება წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში – დღგ) გათვალისწინებით თუ მის გარეშე;

კ) კლასიფიკატორის დანაყოფი და მისი შესაბამისი CPV კოდი;

ლ) შესყიდვის კონკრეტული შესაძლო ყველაზე დეტალური ობიექტი და მისი შესაბამისი CPV კოდი;

მ) შესყიდვის ობიექტის რაოდენობა ან მოცულობა;

ნ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების ან შესრულების ვადა;

ო) წინადადებით წარმოდგენილი ფასის კლების ბიჯის ოდენობა;

პ) გარანტიის ოდენობა (განისაზღვრება და ენიჭება სისტემურად);

ჟ) ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა;

რ) მითითებას პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ს) შემსყიდველი ორგანიზაციის იმ უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი, რომელმაც განათავსა სატენდერო განცხადება სისტემაში, განთავსების თარიღი და ზუსტი დრო (განისაზღვერება და ენიჭება სისტემურად);

შენიშვნა: *„თუ შესასყიდი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს სავარაუდო ღირებულება აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ინგლისურ ენაზე განთავსება სავალდებულოა, ამ წესის მიზნებისთვის, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრებია: ერთგვაროვანი საქონლისა და მომსახურების შემთხვევაში – 139 000 ევროს ეკვივალენტი ლარში, შესყიდვის გამოცხადების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით“.*

71.რა არის ბიჯი?

ბიჯი არის ის მინიმალური თანხა, რომლითაც უნდა მოხდეს შემდგომი ფასის შემცირება წინა შეთავაზებასთან ან სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებაში.

72.რა ოდენობის არის ბიჯი?

ბიჯი განისაზღვრება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 0.4 პროცენტიდან 2 პროცენტამდე ოდენობით.

73.რომელი პრეტენდენტები იღებენ დამატებით რაუნდებში მონაწილეობას?

რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით და ასევე წინადადების წარდგენის შემდგომ მათ მიერ არ მომხდარა სატენდერო წინადადებაზე უარის თქმა. რაც შეეხება ტენდერს "აუქციონის გარეშე", ამ შემთხვევაში დამატებითი რაუნდები არ გვხვდება.

74.რა ხდება წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში?

წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ბოლომ დააფიქსირა ასეთი ფასი.

75.სავალდებულოა დამატებით რაუნდებში მონაწილეობა?

არა.

76.როგორ უნდა დარეგისტრირდეს შემსყიდველი ორგანიზაცია კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემაში - ctd.spa.ge?

შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელმა უნდა გამოაგზავნოს ოფიციალური წერილი ელექტრონულ ფოსტაზე: info@procurement.gov.ge წერილის მეშვეობით მოთხოვნილ უნდა იქნას ტენდერების მენეჯმენტის სისტემაში დარეგისტრირება.

77. სავალდებულოა თუ არა ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისათვის CTD მენეჯმენტის სისტემაში დარეგისტრირება?

დიახ. სავალდებულოა, ყველა შემსყიდველ ორგანიზაციას, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში „შემსყიდველად" არის რეგისტრირებული, კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემაში (CTD) ჰქონდეს გავლილი ავტორიზაცია.

78.როგორ უნდა განხორციელდეს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ხელშეკრულების დადება?

სატენდერო დოკუმენტაციისა და ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების პირობების შესაბამისად.

79. როგორ უნდა წარმოადგინოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ კონსოლიდირებული ტენდერის ფაგლებში გაფორმებული ხელშეკრულება?

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულება ატვირთოს/დაარეგისტრიროს შესაბამის კონსოლიდირებულ ტენდერში არსებულ ფანჯარაში - „გამარჯვებული“.

80. როგორ უნდა მოიძიოს დაინტერესებულმა პირმა კონსოლიდირებული ტენდერის ფაგლებში გაფორმებული ხელშეკრულება?

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულება, რეგისტრაციის შემდეგ, აისახება კონსოლიდირებული ტენდერების „CON კონტრაქტების“ მოდულში.

81. შესაძლებელია თუ არა სხვადასხვა კონსოლიდირებული ტენდერის ფაგლებში გაფორმედეს ერთი ხელშეკრულება?

არა. რამდენიმე კონსოლიდირებული ტენდერის ფაგლებში გასაფორმებელი ხელშეკრულებების ერთ ხელშეკრულებაში გაერთიანება დაუშვებელია.

82. შეიძლება თუ არა შემსყიდველმა ორგანიზაციამ, რომელზეც სავალდებულო წესით არ ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება, საქონელი ან/და მომსახურება შეისყიდოს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში?

შემსყიდველმა ორგანიზაციამ, რომელზეც სავალდებულო წესით არ ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის მოქმედება და ტენდერის მიმდინარეობისას გაუჩნდება შესყიდვის საჭიროება უნდა იხელმძღვანელოს კონკრეტული კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის პირობების გათვალისწინებით.

83.რა სიხშირით იცვლება ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში ერთი ლიტრი შესაბამისი ტიპის საწვავის სახელშეკრულებო ფასი?

საწვავის სახელშეკრულებო ფასი კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში იცვლება ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს აღნიშნული ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია სააგენტოს ვებ-გვერდზე.

84.შეუძლია თუ არა შემსყიდველ ორგანიზაციას საწვავი შეიძინოს საწვავის კონსოლიდირებულ ტენდერში არაგამარჯვებული კომპანიისაგან?

თუ შემსყიდველ ორგანიზაციას საწვავი ესაჭიროება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, თანხმობა მიიღება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მომართვის სისტემის SMP მოდულში წარდგენის გზით, ხოლო თუ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგური შემსყიდველი ორგანიზაციის ადგილმდებარეობიდან დაშორებულია 15 კმ-ზე მეტი მანძილით, რაც იწვევს საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვას, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, საწვავი შეიძინოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის, 14 დეკემბრის, N14 ბრძანების, მე-19 მუხლის, მე-3 პუნქტის საფუძველზე სატენდერო კომისიისათვის მომართვის მეშვეობით, რომელიც ხორციელდება ელექტრონული სისტემა ctd.spa.ge „ნებართვის“ მოდულის მეშვეობით.

85.გასცემს თუ არა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო თანხმობას შემსყიდველების მიერ საწვავის გადაუდებელი აუცილებლობით შეძენის შემთხვევაში?

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მომართვის სისტემის SMP მოდულში გადაწყვეტილების წარდგენის გზით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გასცემს თანხმობას შემსყიდველების მიერ საწვავის გადაუდებელი აუცილებლობით შეძენის შემთხვევაში.

86.რომელი ორგანო გასცემს თანხმობას საწვავის გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვისას მუნიციპალიტეტების შემთხვევაში?

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მომართვის სისტემის SMP მოდულში წარდგენის გზით.

87.რომელი ორგანო და რა შემთხევაში გასცემს თანხმობას საწვავის გამარჯვებული მიმწოდებლისაგან „აგაი“ სისტემის გარეშე შესყიდვისას?

გამარჯვებული მიმწოდებლისგან „აგაი“ სისტემის გარეშე საწვავის შესყიდვის თანხმობას გასცემს ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისია, რიგ გამონაკლის შემთხვევაში: ,,ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერატიული საქმიანობის განხორციელების საჭიროება, შენობა-ნაგებობის გათბობის, უწყვეტი ენერგომომარაგების ან/და დასუფთავების საჭიროება, სპეციალური ტექნიკის საწვავით უზრუნველყოფა, ქირის, იჯარის, თხოვების ან სხვა ფორმით დროებით სარგებლობაში, კერძო მფლობელობაში მყოფი იმ ავტომანქანების საწვავით უზრუნველყოფა, რომლებსაც იყენებენ სამსახურეობრივი დანიშნულებისათვის და სხვა. ზემოაღნიშნულზე ნებართვა გაიცემა ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიისათვის მომართვის საშუალებით, რომელიც ხორციელდება ელექტრონული მოდულის ctd.spa.ge მეშვეობით.

88.შეუძლია თუ არა შემსყიდველ ორგანიზაციას საბურავები შეიძინოს კონსოლიდირებულ ტენდერში არაგამარჯვებული კომპანიისაგან?

„შეუძლია სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი შესყიდვის საფუძვლების გამოყენებით.

ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც გამარჯვებული მიმწოდებელი ვერ ახორციელებს საბურავების მიწოდებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებს გარეთ შესყიდვისათვის მიიღოს კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის თანხმობა იმ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც მითითებულია საბურავების სატენდერო დოკუმენტაციაში.

89. როგორ უნდა მოიქცეს შემსყიდველი ორგანიზაცია როდესაც სურს ისეთი საბურავის შესყიდვა (ზომა, სეზონურობა და ა.შ.) რომელიც გათვალისწინებული არ არის კონსოლიდირებულ ტენდერებში?

განსხვავებული პარამეტრების საბურავის შესყიდვა საჭიროებს საბურავების კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის თანხმობას.

თანხმობის მისაღებად შემსყიდველმა ორგანიზაციამ სატენდერო კომისიას უნდა მიმართოს შესაბამისი ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

90. ვალდებულია თუ არა შემსყიდველი ორგანიზაცია წარმოადგინოს სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ყველა ანგარიში (გეგმა, კვლევა) CTD მენეჯმენტის სისტემაში ან/და შესაბამისი შესყიდვის ობიექტის კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის ელექტრონულ ფოსტაზე?

დიახ, სავალდებულოა.

91. რა შემთხვევაში შეუძლია შემსყიდველ ორგანიზაციას არ შეისყიდოს A4 ფორმატის თეთრი ფერის საბეჭდი ქაღალდი კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლისგან ?

თუ წლის განმავლობაში შესასყიდი თითოეული ხარისხის საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა არ აღემატება 25 შეკვრას და ამასთანავე, თუ ორგანიზაციის ფაქტობრივი მისამართი არ არის ქ. თბილისში ან ქ. ქუთაისში. მაშინ შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის წინასწარი თანხმობის საფუძველზე საბეჭდი ქაღალდი შეისყიდოს რომელიმე სხვა მიმწოდებლისაგან, სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით.

სატენდერო კომისიის თანხმობის შემთხვევაში, საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

92. არის თუ არა შეწყვეტილი ტენდერის შემთხვევაში სისტემაში ოქმის ატვირთვა სავალდებულო?

დიახ, სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებისთანავე სისტემაში ატვირთოს ტენდერის შეწყვეტის ოქმი.

93. უნდა მიეთითოს თუ არა ტენდერის შეწყვეტის ოქმში შეწყვეტის საფუძვლები?

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სისტემაში ატვირთოს ტენდერის შეწყვეტის შესახებ სატენდერო კომისიის დასაბუთებული სხდომის ოქმი, რომელშიც მითითებული იქნება ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის მიზეზი და საფუძველი.

94. შესაძლებელია თუ არა რომ რამდენიმე შემსყიდველმა ორგანიზაციამ ჩაატაროს ტენდერი?

შემსყიდველ ორგანიზაციათა შეთანხმებით შესაძლებელია ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელება.

95. რომელ CPV კოდებზე არის შესაძლებელი პრეისკურანტის საშუალებით მომსახურების შესყიდვა?

პრეისკურანტის საშუალებით შესყიდვის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ CPV კოდებზე:

45200000 * სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები

45500000 სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის/ინჟინერიის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება

50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები

50200000 - თვითმფრინავების, რკინიგზის, საგზაო და საზღვაო მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები

50300000- პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიო-ვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები

50500000- ტუმბოების, სარქველების, ონკანებისა და ლითონის კონტეინერების, ასევე, მანქანა-დანადგარების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

50700000 - შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

51700000 - ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების მონტაჟი

55500000 - სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება

65100000 - წყლის განაწილება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები

66500000- სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები

79500000 - ოფისის მუშაობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებები

85100000 - ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებები

90400000 - ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული მომსახურებები

აღნიშნულ CPV კოდზე ელექტრონული ტენდერი შესაძლებელია ჩატარდეს პრეისკურანტის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ითვალისწინებს მხოლოდ სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოს ან/და საავტომობილო გზების ან/და მასზე არსებული ხელოვნური ნაგებობების მიმდინარე ან/და პერიოდული შეკეთების სამუშაოს ან/და ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონასა და ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში შესასრულებელ სამუშაოს.

96.რას ნიშნავს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება?

პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება არის გასაწევი მომსახურების ერთეულის ღირებულება/ერთეულების სავარაუდო ჯამური ღირებულება.

97.რა არის კონკურსი?

კონკურსი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის ალტერნატიულ საშუალებას. მისი საშუალებით შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, შეისყიდოს საპროექტო მომსახურება, მათ შორის, დიზაინერული, დაგეგმარების, ხარჯთაღრიცხვის, არქიტექტურული, საინჟინრო გეგმები ან პროექტები.

98.რა ინფორმაციას შეიცავს საკონკურსო განცხადება?

ა) შესყიდვის ტიპს;

ბ) საკონკურსო განცხადების ნომერს (გენერირდება და ენიჭება სისტემურად);

გ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელებას (ენიჭება სისტემურად);

დ) კონკურსის გამოცხადების თარიღს ზუსტი დროის მითითებით (ენიჭება სისტემურად);

ე) საკონკურსო წინადადებების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღს ზუსტი დროის მითითებით (წინადადების მიღების დაწყების ვადა განისაზღვრება სისტემურად ხოლო დასრულების ვადას უთითებს შემსყიდველი);

ვ) შესყიდვის დაფინანსებას (წელსა და წყაროს);

ზ) შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას;

თ) მითითებას, რომ საკონკურსო წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში – დღგ) გარეშე;

ი) კლასიფიკატორის დანაყოფსა და მის შესაბამის CPV კოდს;

კ) შესყიდვის შესაძლო ყველაზე დეტალურ ობიექტსა და მის შესაბამის CPV კოდს (კლასიფიკატორის კატეგორია, კლასი, ჯგუფი ან დანაყოფი. კლასიფიკატორის დაბალი იერარქიული დონის მითითების შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უთითებს მის მომდევნო ზედა იერარქიულ დონეს);

ლ) შესყიდვის ობიექტის მოცულობას;

მ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას;

ნ) ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრით წონებს, რომელთა ჯამი უნდა შეადგენდეს ერთ მთელს. ამასთან, ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონა არ უნდა აღემატებოდეს 80%-ს და არ უნდა იყოს 70%-ზე ნაკლები;

ო) ელექტრონული გარანტიის ოდენობას (განისაზღვრება და ენიჭება სისტემურად);

პ) ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადას;

ჟ) შემსყიდველი ორგანიზაციის იმ უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელსა და გვარს, რომელმაც განათავსა საკონკურსო განცხადება სისტემაში, განთავსების თარიღისა და ზუსტი დროის მითითებით (განისაზღვრება და ენიჭება სისტემურად).

99.რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს საკონკურსო დოკუმენტაცია?

საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში);

ბ) შესასყიდი მომსახურების მოცულობასა და სრულ აღწერას, მისი გაწევის ვადას, ადგილსა და ფორმას;

გ) ხელშეკრულების იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წინასწარ არის ცნობილი, აგრეთვე მითითებას ხელშეკრულების ფორმასა და ხელშეკრულების შესრულების გარანტიაზე (მისი არსებობის შემთხვევაში);

დ) დათქმას, საჭიროა თუ არა საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების წარდგენა, ასევე, ასეთ შემთხვევაში, მეთოდებს, რომლებითაც უნდა იყოს გაანგარიშებული საკონკურსო წინადადების ფასი, იმის მითითებით, უნდა შეიცავდეს თუ არა იგი მომსახურების ღირებულების გარდა სხვა ხარჯებსაც;

ე) ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრით წონებს, რომელთა ჯამი უნდა შეადგენდეს ერთ მთელს. ამასთან, ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონა არ უნდა აღემატებოდეს 80%-ს და არ უნდა იყოს 70%-ზე ნაკლები;

ვ) საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენისთვის დადგენილ ხარისხის კრიტერიუმებსა და მათ ხვედრით წონებს.

ზ) საკონკურსო დოკუმენტაციის შესახებ დამატებით ინფორმაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) საკონკურსო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობასა და საკონტაქტო ინფორმაციას, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ;

ი) ასევე, საკონკურსო დოკუმენტაცია, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეიცავდეს

პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების (ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები – სარეგისტრაციო მონაცემები, უფლებრივი შეზღუდვები, არსებული ფინანსური ან/და სხვა სახის ვალდებულებები და სხვ.) წარმოდგენის მოთხოვნას, რაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა დაასაბუთოს.

100. რამდენ დღეს შეადგენს საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის გაცნობის ვადა?

საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის გაცნობის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 დღეს განცხადებისა და დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის მომენტიდან.

101. შესაძლებელი არის თუ არა შემსყიდველმა ორგანიზაციამ საკონკურსო განცხადებაში და დოკუმენტაციაში შეიტანოს ცვლილებები კონკურსის გამოცხადების შემდეგ?

საკონკურსო განცხადებასა და დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ვიდრე კონკურს მიენიჭება სტატუსი წინადადებების მიღება დაწყებულია. განსაკუთრებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საკონკურსო განცხადებაში შეცვალოს შესყიდვის დაფინანსების წყარო.

102. რა კრიტერიუმების მიხედვით ახდენს შემსყიდველი ორგანიზაცია კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენას?

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა ხდება ხარისხისა და ფასის გათვალისწინებით. შემსყიდველს საშუალება აქვს ხარისხის ხვედრითი წონა განსაზღვროს 70%-დან 80%-მდე, შესაბამისად ფასის ხვედრითი წონა შესაძლებელია შეადგენდეს 20%-დან 30%-მდე.

103. როდის შეუძლია პრეტენდენტს კონკურსში წინადადების წარდგენა?

წინადადებების წარდგენა ხდება კონკურსისთვის სტატუსის წინადადებების მიღება დაწყებულია მინიჭების ეტაპზე. წინადადებების წარდგენა ხდება ელექტრონულად, სისტემის მეშვეობით.

104. შეუძლია თუ არა პრეტენდენტს უარი თქვას მის მიერ კონკურსში წარდგენილ წინადადებაზე?

დიახ, პრეტენდენტს უფლება აქვს უარი თქვას მის საკონკურსო წინადადებაზე ხელშეკრულების დასადებად მიწვევამდე, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში პრეტენდენტს არ დაუბრუნდება წინადადების უზრუნველყოფის გარანტია.

105. რა შემთხვევაში ღებულობს პრეტენდენტი დისკვალიფიკაციას კონკურსში?

შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია მოახდინოს იმ შემთხვევაში თუ:

ა) იგი უარს იტყვის საკონკურსო წინადადებაზე;

ბ) მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკონკურსო პირობებს;

გ) იგი, დადგენილ ვადაში, არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას;

დ) იგი არ წარმოადგენს სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველ დოკუმენტ(ებ)ს დადგენილ ვადაში ან მის მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი არ

შეესაბამება საკონკურსო პირობებს (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში);

ე) იგი არ წარადგენს ან, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, არ დააზუსტებს საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშებას (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში);

ვ) იგი არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში), უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან/და სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე;

ზ) იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

106. რა ვადაში ხდება კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმება?

კონკურსში საუკეთესო წინადადების წარმდგენი პრეტენდენტის გამოვლენისთანავე შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტს ხელშეკრულების დასადებად განუსაზღვრავს არანაკლებ 6 და არა უმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას. ხელშეკრულების დასადებად განსაზღვრული ვადა საკონკურსო კომისიის დასაბუთებული ოქმის საფუძველზე შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 5 სამუშაო დღით. ამასთან, დაუშვებელია კონკურსისთვის სტატუსის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭებიდან მომდევნო 5 სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულების დადება.

107. რა ვადაში უნდა ატვირთოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ საკონკურსო ხელშეკრულება სისტემაში?

ხელშეკრულება სისტემაში უნდა აიტვირთოს მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

108. რა არის ორეტაპიანი ტენდერი?

ორეტაპიანი ტენდერი არის ელექტრონული ტენდერის ჩატარების განსხვავებული მეთოდი, რა დროსაც საუკეთესო სატენდერო წინადადების

მქონე პრეტენდენტი მასთან ხელშეკრულების დადების მიზნით გამოვლინდება არამხოლოდ ფასზე არამედ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ სხვა თვლად კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

109. რა შემთხვევებში გამოიყენება ორეტაპიანი ტენდერი?

შემსყიდველი ორგანიზაციის შეხედულებისა და საჭიროების შესაბამისად, ორეტაპიანი ტენდერის ჩატარება შესაძლებელია შესყიდვის ნებისმიერი ობიექტის შემთხვევაში. მისი ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია. ორეტაპიანი ტენდერის გამოყენება მიზანშეწონილია ისეთ შემთხვევაში, როდესაც პრეტენდენტების მიერ წარდგენილი წინადადებებიდან საუკეთესო ალტერნატივის გამოვლენისათვის საჭიროა არა მხოლოდ შესყიდვის ობიექტის საწყისი ფასის, არამედ ცხოვრების ციკლის ხარჯებთან დაკავშირებული სხვა თვლადი კრიტერიუმების გათვალისწინება.

110. ორდინალური ტენდერებისგან განსხვავებით დამატებით რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს ორეტაპიანი ტენდერის განცხადება და დოკუმენტაცია?

ორეტაპიანი ტენდერის სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია ორდინალური ტენდერებისგან განსხვავებით დამატებით უნდა შეიცავდეს სატენდერო წინადადების შეფასების რანჟირებაზე მოქმედ კრიტერიუმებსა და მათ ხვედრით წონებს.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში ნათლად დააფიქსიროს სატენდერო წინადადების შეფასების გამოყენებული კრიტერიუმის განზომილების ერთეული, რითაც იხელმძღვანელებენ პრეტენდენტები სატენდერო წინადადებების წარდგენისას.

111. რა ტიპის კრიტერიუმების განსაზღვრა შეუძლია შემსყიდველ ორგანიზაციას ორეტაპიან ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად?

შემსყიდველი ორგანიზაცია, ყოველი ორეტაპიანი ტენდერის შემთხვევაში, განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვის ობიექტი, პრეტენდენტი და მისი სატენდერო წინადადება.

შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, განსაზღვროს სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმების შემდეგი ტიპები:

ა) მოთხოვნები, რომლებსაც შესყიდვის ობიექტი, პრეტენდენტი, მისი სატენდერო წინადადება უპირობოდ უნდა აკმაყოფილებდეს და ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა იწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას;

ბ) თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს. ასეთ შემთხვევაში, ამ კრიტერიუმში, უმაღლეს შეფასებას ღებულობს ის პრეტენდენტი, რომლის მიერ დაფიქსირებული სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმის მნიშვნელობა ყველაზე მეტად აღემატება სატენდერო პირობებით განსაზღვრულ ამ კრიტერიუმისთვის დადგენილ მინიმალურ მოთხოვნას. ამასთან, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაადგინოს ზღვრული ოდენობა, რომელზე მაღალი ციფრობრივი მაჩვენებლის მითითებაც აღარ ახდენს გავლენას პრეტენდენტის ჯამურ შეფასებაზე;

გ) თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს. ასეთ შემთხვევაში, ამ კრიტერიუმში, უმაღლეს შეფასებას ღებულობს ის პრეტენდენტი, რომლის მიერ დაფიქსირებული სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმის მნიშვნელობა ყველაზე მეტად სცილდება (მეტობიდან ნაკლებობისკენ) სატენდერო პირობებით განსაზღვრულ ამ კრიტერიუმისთვის დადგენილ მაქსიმალურ მოთხოვნას. ამასთან, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაადგინოს ზღვრული ოდენობა, რომელზე დაბალი ციფრობრივი მაჩვენებლის მითითებაც აღარ ახდენს გავლენას პრეტენდენტის ჯამურ შეფასებაზე;

დ) კრიტერიუმები, რომლებიც გულისხმობს სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი გარკვეული პირობის/პირობების შესრულებას და პრეტენდენტის მიერ ამ პირობის/პირობების შეუსრულებლობა არ იწვევს მის დისკვალიფიკაციას. ასეთ შემთხვევაში, თუ ტექნიკური დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას/პირობებს, პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შეფასება კლებულობს სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პროცენტული ოდენობის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს სამი პროცენტისა.

112. როგორ წარადგენენ პრეტენდენტები ორეტაპიან ტენდერში წინადადებას?

პრეტენდენტების რანჟირების სისტემურად განსაზღვრის მიზნით, ორეტაპიან ტენდერში პრეტენდენტი სატენდერო წინადადებას წარადგენს თვითდეკლარირების პრინციპით, რაც გულისხმობს სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმების მნიშვნელობების სისტემის შესაბამის ველში პრეტენდენტის მიერ მითითებას. შედეგად, ავტომატური რანჟირების სისტემის მეშვეობით ვლინდება საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტი. ამასთან, პრეტენდენტი აგრეთვე ვალდებულია, სისტემაში ატვირთოს ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად.

113. როგორ წყდება დაზუსტების საკითხები ორეტაპიან ტენდერში?

სატენდერო კომისია საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტს მიმართავს სატენდერო წინადადების დაზუსტების მოთხოვნით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას. დაზუსტებას აგრეთვე არ ექვემდებარება სატენდერო წინადადება, თუ პრეტენდენტი სისტემის შესაბამის ველში სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმების მნიშვნელობებს მიუთითებს სატენდერო პირობებით გათვალისწინებულისგან განსხვავებულ, არასწორ განზომილებაში.

იმ შემთხვევაში, თუ:

ა) პრეტენდენტის მიერ სისტემის შესაბამის ველში მითითებული სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმების მნიშვნელობები აღემატება ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებული მონაცემებს, სატენდერო კომისია ვალდებულია, მიმართოს პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით;

ბ) პრეტენდენტის მიერ სისტემის შესაბამის ველში მითითებული სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმების მნიშვნელობები ნაკლებია ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებულ მონაცემებზე, სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას და ასევე არ მიმართავს მას ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, გარდა სატენდერო წინადადების ფასისა. ასეთ შემთხვევაში, სატენდერო კომისია მიმართავს პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, რის შედეგადაც, დაზუსტებულ ტექნიკურ დოკუმენტაციაში

მითითებული ფასი არ უნდა აღემატებოდეს სისტემის შესაბამის ველში დაფიქსირებულ სატენდერო წინადადების ფასს;

გ) პრეტენდენტს სისტემის შესაბამის ველში მითითებული აქვს, რომ იგი ასრულებს სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ გარკვეულ პირობას/პირობებს (რომელთა შეუსრულებლობა არ იწვევს დისკვალიფიკაციას), ხოლო ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ იგი ვერ ასრულებს ამ პირობას/პირობებს, სატენდერო კომისია ვალდებულია, მიმართოს პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით;

დ) პრეტენდენტს სისტემის შესაბამის ველში მითითებული აქვს, რომ იგი ვერ ასრულებს სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ გარკვეულ პირობას/პირობებს (რომელთა შეუსრულებლობა არ იწვევს დისკვალიფიკაციას), ხოლო ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ იგი ასრულებს ამ პირობას/პირობებს, სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას და ასევე არ მიმართავს მას ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით.

როგორ წყდება დისკვალიფიკაციის საკითხი ორეტაპიან ტენდერში?

პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ:

ა) იგი უარს იტყვის სატენდერო წინადადებაზე;

ბ) მისი სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო პირობებს;

გ) იგი არ დააზუსტებს სატენდერო წინადადებას დადგენილ ვადაში, არასრულყოფილად დააზუსტებს მას ან/და დაზუსტების შედეგად არსებითად შეცვლის სატენდერო წინადადებას;

დ) იგი არ წარადგენს შესყიდვის ობიექტის ნიმუშს, ექსპერტიზის დასკვნას ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას ან მის მიერ წარდგენილი შესყიდვის ობიექტის ნიმუში, ექსპერტიზის დასკვნა ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო პირობებს (ასეთი მოთხოვნის/მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში);

ე) იგი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტაციას ან მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების

დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო პირობებს (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში);

ვ) იგი არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში), უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან/და სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე;

ზ) იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

შავი სია

114. რა არის შავი სია?

შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი, რომელსაც ელექტრონულად აწარმოებს სააგენტო და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.

115. რომელი ნორმატიული აქტი არეგულირებს შავ სიასთან დაკავშირებულ საკითხებს?

„შავი სიის წარმოების წესის და პირობები“ დამტკიცებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით.

116. რა სახის სანქციებს ითვალისწინებს შავი სია არაკეთილსინდისიერ მიმწოდებლებთან მიმართებაში?

შავ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებლებს/პრეტენდენტებს, შავ სიაში შეტანიდან 1 წლის განმავლობაში არა აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში და დადონ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

117. რა მონაცემები აისახება შავ სიაში?

შავ სიაში აისახება შემდეგი მონაცემები:

ა)შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერის ნომერი;

გ) შესყიდვის ობიექტი;

დ) მიმწოდებლის დასახელება;

ე) შავ სიაში რეგისტრაციის საფუძველი;

ვ) შესაბამისი განკარგულება.

118. რის საფუძველზე ხდება შავ სიაში რეგისტრაცია?

ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

კონკურსის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი დისკვალიფიცირებულია კონკურსიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

კონსოლიდირებული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა:

ა) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია კონსოლიდირებული ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო;

ბ) კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ პრეტენდენტმა, ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

გ) შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიამ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებ(ებ)ის დადებაზე უარის თქმის ან/და ხელშეკრულების დადებაზე უარის სხვაგვარად გამოხატვის გამო, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღო გადაწყვეტილება კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის თაობაზე;

დ) შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიამ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღო გადაწყვეტილება ამ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, მასთან დადებული ხელშეკრულებების ყველა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შეწყვეტის თაობაზე.

სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა:

ა) ხელშეკრულების დადების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა, ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება.

ბ) მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

119. სააგენტო იხილავს თუ არა რაიმე სახის დოკუმენტებს შავ სიაში რეგისტრაციისთვის?

სააგენტო განიხილავს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ დოკუმენტაციას, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის/პრეტენდენტის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ დოკუმენტებს.

120. წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე თუ ხდება შავი სიიდან ამოყვანა?

შავი სიიდან ამოყვანა შესაძლებელია, მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

121. სად ხდება გასაჩივრება შავ სიასთან დაკავშირებით?

სასამართლოში.

122. თუ ხდება შავ სიაში რეგისტრაციის ერთ წლიანი ვადის შემცირება?

ვადის შემცირება არ ხდება. შავი სიიდან ერთწლიანი ვადის გასვლამდე ამოყვანა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

123. რა დოკუმენტაცია უნდა იქნას წარმოდგენილი შავ სიაში პრეტენდენტის/მიმწოდებლის დასარეგისტრირებლად?

სააგენტოში შავ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი წერილობითი შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას (დოკუმენტაციას):

ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – სატენდერო განცხადების ნომერს, კონკურსის შემთხვევაში – საკონკურსო განცხადების ნომერს, გამარტივებული შესყიდვის ან კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში – შესაბამისი ხელშეკრულების სისტემის CON მოდულში რეგისტრაციის ნომერს. ელექტრონული ტენდერის ერთობლივად ჩატარების შემთხვევაში აგრეთვე უნდა მიეთითოს ხელშეკრულების დადების თარიღი და ნომერი

შეტყობინებაში მითითებული პრეტენდენტის/მიმწოდებლის რეკვიზიტებს

ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს – თუ წერილობითი შეტყობინება წარმოდგენილია შავი სიის წარმოების წესისა და პირობების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ან მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლენამდე პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს – თუ წერილობითი შეტყობინება წარმოდგენილია შავი სიის წარმოების წესისა და პირობების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

კონსოლიდირებულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის ან/და ხელშეკრულებ(ებ)ის დადებაზე უარის სხვაგვარად გამოხატვის, ასევე კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს – თუ წერილობითი შეტყობინება წარმოდგენილია შავი სიის წარმოების წესისა და პირობების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ხელშეკრულების დადებამდე პრეტენდენტის/მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს – თუ წერილობითი შეტყობინება წარმოდგენილია შავი სიის წარმოების წესისა და პირობების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს, ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას – ასევე ხელშეკრულების შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს – თუ წერილობითი შეტყობინება წარმოდგენილია შავი სიის წარმოების წესისა და პირობების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის ან მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

იმ შემთხვევაში, თუ ეს დოკუმენტები ატვირთულია სისტემაში, წერილობით შეტყობინებას აღნიშნული დოკუმენტების ასლები აღარ დაერთვის

124. რა ვადაში ახდენს სააგენტო მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციას?

სააგენტო წერილობით მოთხოვნას პირის შავ სიაში შეყვანის შესახებ განიხილავს არაუმეტეს 2 თვის ვადაში. აღნიშნული ვადა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 1 თვით.

125. უნდა მიმართოს თუ არა შემსყიდველმა ორგანიზაციამ სააგენტოს პირის შავ სიაში დასარეგისტრირებლად თუ საკითხი ეხება კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს?

კონსოლიდირებულ ტენდერთან მიმართებით, შავ სიასთან დაკავშირებულ გარემოებას სააგენტოს აცნობებს შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისია.

126. სად ხდება შავ სიაში შესული პირების შესახებ ინფორმაციის განთავსება?

სააგენტო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) აწარმოებს და განათავსებს შავ სიას.

127. აქვს თუ არა უფლება გაფრთხილებულ მიმწოდებელს ტენდერში მიიღოს მონაწილეობა?

სააგენტოს მიერ გაფრთხილების ფორმის გამოყენება არ იწვევს რაიმე სახის აკრძალვას მიმწოდებლის მიერ ტენდერში მონაწილოების კუთხით.

128. არის თუ არა ინფორმაცია შავი სიის შესახებ საჯარო?

სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, მათ შორის შავი სია, ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

129. არის თუ არა გაფრთხილებულ პირთა რეესტრი საჯარო და ხელმისაწვდომი?

სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, გაფრთხილებულ პირთა რეესტრი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

130. კანონმდებლობა ითვალისწინებს თუ არა შავი სიაში რეგისტრაციის შეჩერებას?

შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება ჩერდება იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი/მიმწოდებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლოში გაასაჩივრებს მის მიმართ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლითაც წარმოიშვა შავი სიის წარმოების წესისა და პირობები მე-3 მუხლში მითითებული გარემოებები და სასამართლო, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეუზღუდავს სააგენტოს წერილობით შეტყობინებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებას.

131. შავი სიის რეგისტრაციის შეჩერების შემთხვევაში ხდება თუ არა ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელება?

ადმინისტრაციული წარმოება გაგრძელდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შემდეგ, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) სააგენტოსთვის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარებისთანავე.

132. რა შემთხვევაში არის უფლებამოსილი სააგენტო უარი თქვას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე?

სააგენტო უფლებამოსილია უარი თქვას თუ არ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლები; ასევე შეტყობინებაში მითითებული პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით მნიშვნელოვნად დაირღვევა ბაზარზე კონკურენციის დაცვისა და საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპები.

თეთრი სია

133. რომელი ნორმატიული აქტი არეგულირებს თეთრი სიაში რეგისტრაციის საკითხებს?

„თეთრი სიის წარმოების წესები და პირობები“ დამტკიცებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით.

134. რა არის თეთრი სია?

თეთრი სია არის შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრი, რომელსაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ელექტრონულად აწარმოებს და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. თეთრ სიაში აისახება სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე იმ კვალიფიციურ მიმწოდებელთა მონაცემები, რომლებიც აკმაყოფილებენ თეთრ სიაში რეგისტრაციისათვის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ კრიტერიუმებს. თეთრ სიაში რეგისტრირებული კვალიფიციური მიმწოდებელი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას სარგებლობს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურებით.

135. რაში მდგომარეობს თეთრი სიის უპირატესობა?

თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი:

ა) თავისუფლდება სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის ვალდებულებისაგან, იმისდა მიუხედავად, ითვალისწინებს თუ არა სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაცია სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის მოთხოვნას;

ბ) წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს წინასწარ გადასახდელი თანხის ნახევარი ოდენობის გარანტიას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

გ) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს მოთხოვნილი

ოდენობის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ნახევარს.

თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია სრულად გათავისუფლდეს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის ვალდებულებისაგან.

თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი ხსენებული უფლებებით სარგებლობს ნებისმიერი საშუალებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობისას.

136. სად შეიძლება გავეცნოთ თეთრ სიაში მყოფი მიმწოდებლების შესახებ ინფორმაციას ?

თეთრ სიაში მყოფი მიმწოდებლების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

137. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი იმისთვის, რომ მოხვდეს თეთრ სიაში?

მიმწოდებელი თეთრ სიაში დასარეგისტრირებლად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ აუცილებელ მოთხოვნებს:

ა) იგი თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში არ ყოფილა რეგისტრირებული შავ სიაში;

ბ) მას თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში არ მიუღია გაფრთხილება შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად;

გ) იგი თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

დ) თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის პერიოდისათვის მის მიმართ არ მიმდინარეობს რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის/გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ე) მას თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის პერიოდისათვის სხვადასხვა შემსყიდველი ორგანიზაციისაგან მიღებული აქვს არანაკლებ ორი ცნობა მის მიერ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით (ხელშეკრულების ღირებულება არ უნდა შეადგენდეს 5 000 ლარზე ნაკლებს) ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების შესახებ. ცნობა გაიცემა ამ წესის დანართით დადგენილი ფორმით, რომელიც დატანილი უნდა იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ფორმის დაუცველად წარმოდგენილი ცნობა არ განიხილება;

ვ) მიმწოდებელი (მის წარმომადგენლობაზე/ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ყველა პირი) არ არის ნასამართლევი (ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე–182-ე მუხლებით, XXVI თავით (დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ), XXVII თავით (დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში), XXVIII თავით (დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში), XXIX (დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ), 2231, 2241, 3222, 339-ე, 3391 და 362-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის;

ზ) მას თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აქვს არანაკლებ 1 000 000 ლარის საერთო ბრუნვა, მაგრამ ბოლო წლის განმავლობაში არანაკლებ 200 000 ლარისა ან ჯეროვნად აქვს შესრულებული თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება, მაგრამ ბოლო წლის განმავლობაში არანაკლებ 5 ხელშეკრულებისა. ამასთან, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“, ატვირთული უნდა იყოს შესრულებული ვალდებულებების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი და ასახული უნდა იყოს ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია;

თ) მიმწოდებელს თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის პერიოდისათვის არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

ი) მას განახლებული აქვს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერი.

138. თეთრ სიაში მოხვედრის მიზნით რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს მიმწოდებელმა?

მოთხოვნები უნდა დადასტურდეს შემდეგი დოკუმენტაციით:

ა) რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის/გადახდისუუნარობის საქმის წარმოების არარსებობა – უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით ან მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერით;

ბ) ნასამართლობის არქონა – ნასამართლობის შესახებ ცნობით;

გ) არანაკლებ 1 000 000 ლარის საერთო ბრუნვის ქონა – ან საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით, ან მოგების გადასახადის, ანდა დღგ-ის დეკლარაცი(ებ)ით, ხოლო არანაკლებ 200 000 ლარის ბრუნვის ქონა – ან საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით, ან დღგ-ის დეკლარაცი(ებ)ით;

დ) არანაკლებ 20 (მათ შორის, ბოლო წლის განმავლობაში არანაკლებ 5-ისა) ხელშეკრულების შესრულება – მიმწოდებლის მიერ შედგენილი ჩამონათვალით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სატენდერო/საკონკურსო განცხადების ნომერი ან ხელშეკრულების სისტემის CMR მოდულში რეგისტრაციის ნომერი;

ე) სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონა – საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით.

139. რა ვადებში ხდება თეთრ სიაში პრეტენდენტის შეყვანის გადაწყვეტილების მიღება?

შესაბამისი ინფორმაციის სააგენტოში მიმწოდებლის მიერ წარდგენიდან ერთი თვის ვადაში სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას მიმწოდებლის თეთრ სიაში დარეგისტრირების ან დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ რაც ეცნობება მიმწოდებელს.

140. რა ვადით ხორციელდება მიმწოდებლის თეთრ სიაში რეგისტრაცია?

თეთრ სიაში მიმწოდებლის დარეგისტრირება ხდება 1 წლის ვადით.

141. კიდევ რა უნდა ვიცოდეთ თეთრ სიაში მოხვედრის შესახებ?

თეთრ სიაში რეგისტრაციის მსურველი (მომართვის წარდგენის შემდეგ) და თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი ვალდებული არიან, ხუთი დღის ვადაში აცნობონ სააგენტოს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ცვლილების შესახებ. აღნიშნული ცვლილების შეუტყობინებლობა ან სააგენტოში არასწორი ინფორმაციის წარდგენა წარმოადგენს მიმწოდებლის თეთრ სიაში დარეგისტრირებაზე/რეგისტრაციის ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს (თუ მიმწოდებელი დარეგისტრირებულია თეთრ სიაში).

ხელშეკრულება

142. რა არის ხელშეკრულების სტატუსი?

შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის ქმედების შედეგად სისტემის მეშვეობით ხელშეკრულებისთვის მინიჭებული სტატუსი, რომელიც ასახავს ხელშეკრულების მიმდინარეობის კონკრეტულ ეტაპს.

143. როდის ხდება ხელშეკრულების დადება?

გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში, ხელშეკრულების დადების ვადა არ არის დადგენილი, მაგრამ თუკი შემსყიდველი ორგანიზაცია გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილებას ათანხმებს სააგენტოსთან, ხელშეკრულება უნდა დადოს სააგენტოს თანხმობის მიღებიდან გონივრულ ვადაში.

ელექტრონული ტენდერის (მათ შორის, აუქციონის გარეშე გამოცხადებული და ორეტაპიანი ტენდერების) შემთხვევაში:

გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენისთანავე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში მოთხოვნილია სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენა – სატენდერო კომისიის მიერ მონაცემების სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენისთანავე, სატენდერო კომისია ამ პრეტენდენტს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოსადგენად და ხელშეკრულების დასადებად განუსაზღვრავს არანაკლებ 4 და არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადას;

თუ ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია მოთხოვნილი არ არის, სატენდერო კომისია პრეტენდენტს ხელშეკრულების დასადებად განუსაზღვრავს არანაკლებ 4 და არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადას;

თუ ტენდერის შედეგად ხელშეკრულება იდება უცხოელ კონტრაჰენტთან, ხელშეკრულებაში გამოსაყენებელ სამართლად მითითებულია უცხო ქვეყნის სამართალი ან/და დავის განმხილველად განსაზღვრულია არბიტრაჟი ან უცხო ქვეყნის სასამართლო, რის გამოც ასეთი ხელშეკრულების პროექტი,

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროებს შესაბამისი უწყებ(ებ)ის სამართლებრივ ექსპერტიზას ან თანხმობას, სატენდერო კომისია პრეტენდენტს ხელშეკრულების დასადებად განუსაზღვრავს არანაკლებ 4 და არაუმეტეს 20 სამუშაო დღის ვადას;

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოსადგენად ან/და ხელშეკრულების დასადებად განსაზღვრული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, მხოლოდ სატენდერო კომისიის დასაბუთებული ოქმის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება ობიექტური მიზეზ(ებ)ი, რომლის გამოც ვერ ხერხდება ხელშეკრულების დადება დადგენილ ვადაში;

ტენდერისთვის სტატუსის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭების მომდევნო 3 სამუშაო დღის განმავლობაში დაუშვებელია ხელშეკრულების დადება.

კონკურსის შემთხვევაში:

საუკეთესო საკონკურსო წინადადების მქონე პრეტენდენტის გამოვლენისთანავე, საკონკურსო კომისია ამ პრეტენდენტს ხელშეკრულების დასადებად განუსაზღვრავს არანაკლებ 6 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას;

თუ კონკურსში მოთხოვნილია სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის ან/და საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების წარმოდგენა, საკონკურსო კომისია პრეტენდენტს ხელშეკრულების დასადებად ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადას განუსაზღვრავს სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის ან/და საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენისთანავე;

ხელშეკრულების დასადებად განსაზღვრული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, მხოლოდ საკონკურსო კომისიის დასაბუთებული ოქმის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება ობიექტური მიზეზ(ებ)ი, რომლის გამოც ვერ ხერხდება ხელშეკრულების დადება დადგენილ ვადაში;

კონკურსისთვის სტატუსის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭების მომდევნო 5 სამუშაო დღის განმავლობაში დაუშვებელია ხელშეკრულების დადება.

კონსოლიდირებული ტენდერის შემთხვევაში ხელშეკრულების დადების ვადა განისაზღვრება კონკრეტული კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით.

144. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში პრეტენდენტის მიმართ რა პროცედურებს ატარებს სააგენტო და საგარანტიო თანხა თუ ექვემდებარება დაბრუნებას?

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში), ან უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან/და სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე – პრეტენდენტს არ დაუბრუნდება ელექტრონული გარანტია.

145. რა ვალდებულებები აქვს ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს?

ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირის/პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის, გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების, შესრულებული ან/და შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და ვალდებულების შესრულების ვადების დაცვის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

146. არის თუ არა ხელშეკრულების მოქმედების ვადა კავშირში ფინანსურ წელთან?

ხელშეკრულების მოქმედების ვადა ფინანსურ წელთან კავშირში არ არის, კერძოდ, ხელშეკრულება შეიძლება დადებულ იქნას მიმდინარე წელს, ამასთან, მისი მოქმედების ვადა იწურებოდეს მომდევნო ფინანსურ წელს.

147. ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიძლება თუ არა ემთხვეოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადებს?

არა, ხელშეკრულების მოქმედების ვადა სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებს.

148. სავალდებულო არის თუ არა ხელშეკრულების სისტემაში ატვირთვა?

დადებული ხელშეკრულების სისტემაში ატვირთვა სავალდებულოა.

149. რა ვადაში უნდა მოხდეს ხელშეკრულების სისტემაში ატვირთვა?

ხელშეკრულების ატვირთვა ხორციელდება მისი დადებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

150. რა ეტაპზეა შესაძლებელი ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება და ვინ ახორციელებს კონტროლს?

ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს როგორც თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს, ასევე ნებისმიერ სხვა პირს.

151. კანონმდებლობის მიხედვით რა შემთხვევაში არ არის სავალდებულო რომ დაიდოს ხელშეკრულება?

ხელშეკრულების დადება არ არის სავალდებულო:

ა) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ, აგრეთვე თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა მიერ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისას;

ბ) ინტერნეტით გამოწერის გზით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვისას;

გ) წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას;

დ) საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვისას.

152. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა თუ არის შესაძლებელი?

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია. ამასთან, ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ხელშეკრულების მხარეთათვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა, ხოლო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, სამშენებლო მასალების ხარჯის ზრდის დაფინანსების გათვალისწინებით, აგრეთვე დასაშვებია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა „ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის №619 განკარგულებით დადგენილი წესით. ამ პუნქტით დადგენილი მოთხოვნა არ ვრცელდება ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვაზე.

153. რას ნიშნავს ხელშეკრულების პირობების გაურესება?

ხელშეკრულების პირობების გაუარესება ნიშნავს: შეთანხმებული პირობების ხელშეკრულების რომელიმე მხარისთვის უარყოფითად ცვლილებას.

154. რა სახით უნდა მოხდეს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა?

დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილება უნდა შევიდეს წერილობითი ფორმით, ურთიერთშეთანხმების აქტის საფუძველზე. შესული ცვლილება უნდა აიტვირთოს სისტემაში.

155. უნდა აიტვირთოს თუ არა ხელშეკრულების ცვლილების დოკუმენტი სისტემაში და რა ვადაში?

ხელშეკრულებაში შესული ნებისმიერი ცვლილება სისტემაში უნდა აიტვირთოს 10 დღის ვადაში.

156. შესაძლებელი არის თუ არა ხელშეკრულებაში არ მიეთითოს CPV კოდი?

ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების ობიექტის დასახელებას, კლასიფიკატორის კატეგორიის ან ქვეკატეგორიის კოდს. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის დასახელებას არ შეესაბამება კლასიფიკატორის კატეგორიის ან ქვეკატეგორიის კოდი, შესაძლებელია მითითებულ იქნეს კლასიფიკატორის შესაბამისი კლასის, ჯგუფის ან დანაყოფის კოდი.

157. არის თუ არა შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში ნორმა, რომელიც აწესებს ხელშეკრულების სავალდებულო პუნქტებს?

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 33-ე მუხლი. ასევე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-10 მუხლი.

158. სავალდებულოა თუ არა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ქართულ ენაზე დადება?

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულების დადება შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. ხელშეკრულების

უცხოურ ენაზე დადების შემთხვევაში, იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე.

159. რა ოდენობით არის განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია?

ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 5%-ის ჩათვლით და ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 10%-ის ჩათვლით – თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე.

160. შესაძლებელია თუ არა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წარადგინოს მიმწოდებელმა ელექტრონული ტენდერის შერჩევა-შეფასების ეტაპზე?

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია შემსყიდველ ორგანიზაციას, წარედგინება ხელშეკრულების დადებამდე, როდესაც შესაბამისი წერილით მოიწვევს ხელშეკრულების დასადებად.

161. აქვს თუ არა შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება უარი თქვას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მიღებაზე, როდესაც გარანტია არ არის გაცემული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად?

შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს უფლება არ მიიღოს გარანტია, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, თუმცა აღნიშნულის შესახებ უნდა იმსჯელოს შესაბამის სხდომის ოქმში და დაასაბუთოს მისი პოზიცია.

162. რა ვადით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედება საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ანდა სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას?

ხელშეკრულების მოქმედება სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას.

163. სავალდებულოა თუ არა ხელშეკრულებაში მითითებული იყოს ხელშეკრულების კონტროლის შესახებ?

აღნიშნული შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებას წარმოადგენს და არა ვალდებულებას.

164. ვინ შეიძლება იყოს უფლებამოსილი განახორციელოს ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი?

აღნიშნული დამოკიდებულია შემსყიდველ ორგანიზაციაზე, მას აქვს უფლება ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს როგორც თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს, ასევე ნებისმიერ სხვა პირს.

165. არის თუ არა საჭირო დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება საქონლის, მომსახურების და სამუშაოს მიღება?

თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტის გაფორმების საფუძველზე (მიღება-ჩაბარების აქტი).

166. ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულებაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრასთან დაკავშირებით?

თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშები (CMR მოდული)

167. რა არის CMR მოდული?

CMR მოდულში უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ყველა ხელშეკრულების და მასთან გათანაბრებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის ცვლილებების განხორციელების და შეწყვეტის ამსახველი დოკუმენტის) ასლი, გარდა ელექტრონული ტენდერის, კონსოლიდირებული ტენდერისა და კონკურსის შედეგად დადებული ხელშეკრულებისა.

168. როგორ მოვიქცეთ, თუ CMR მოდულში ხელშეკრულებისათვის სტატუსი მინიჭებულ იქნა არასწორად?

იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულებისათვის ხდება არასწორი სტატუსის მინიჭება, საჭიროა წერილობითი მომართვა ხელშეკრულების სტატუსთან მიმართებაში, რათა აღნიშნული ხელშეკრულება დაბრუნებულ იქნას თავდაპირველ სტატუსზე (მიმდინარე ხელშეკრულება) იმ მიზნით, რომ შემდგომში თქვენს მიერ მინიჭებულ იქნას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე4“ და „ე5“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი სტატუსები, სისტემის შესაბამის ველში ხელშეკრულების შესრულების/ შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვისა და ფაქტობრივად გადახდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასახვის შემდეგ.

169. შესაძლებელია თუ არა CMR მოდულში დარეგისტრირებული ჩანაწერის გაუქმება?

CMR მოდულში დარეგისტრირებული ჩანაწერის გაუქმება არ არის შესაძლებელი. შესაძლებელია მხოლოდ რედაქტირება.

170. რა ვადაში უნდა წარადგინოს ანგარიში თუ შემსყიდველი ორგანიზაციის წლიური გეგმის სავარაუდო ჯამური ღირებულება 50 000 ლარზე ნაკლებია?

შემსყიდველი ორგანიზაცია, რომლის შესყიდვების წლიური გეგმის სავარაუდო ჯამური ღირებულება 50 000 ლარზე ნაკლებია, ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიშს CMR-ში განათავსებს არაუგვიანეს ყოველი მომდევნო წლის 30 იანვრისა.

კანონიდან გამომდინარე

171. რას ნიშნავს სპეციალური წესი? როგორ ხდება მისი დადგენა?

იმ საწარმოებს, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, მათი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვაზე საქართველოს მთავრობამ შესაძლოა დაუდგინოს სპეციალური წესი, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს. საქართველოს მთავრობის მიერ დასადგენ სპეციალურ წესს შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამისი საწარმოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინადადებათა საფუძველზე.

172. რომელ ორგანიზაციებს შეიძლება დაუდგინდეთ სპეციალური წესი?

სპეციალური წესი შესაძლებელია დაუდგინდეს იმ საწარმოს, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

173. იმ შემთხვევაში თუ არ იქნება დადგენილი სპეციალური წესი, რომელი აქტებით ახორციელებს შესყიდვას ორგანიზაცია?

საქართველოს მთავრობის მიერ სპეციალური წესის დაუდგენლობის შემთხვევაში შესყიდვა უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

174. შესაძლებელია თუ არა სხვადასხვა დაფინანსების წყაროების არსებობისას 5 000 ლარამდე საქონლის შესყიდვა გამარტივებული შესყიდვით?

შესაძლებელია.

175. რა არის თანადაფინანსება? როგორ უნდა აისახოს ის გეგმაში?

შემსყიდველ ორგანიზაციათა შეთანხმებით შესაძლებელია ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელება. ამ შემთხვევაში განისაზღვრება თითოეული შემსყიდველი ორგანიზაციის დაფინანსების წილი. აღნიშნული შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ასახვა უნდა მოხდეს თითოეული შემსყიდველი ორგანიზაციის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში მისი წილის პროპორციულად.

176. რა არის ექსკლუზივი?

საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად.

177. რა შემთხვევა არ განიხილება ექსკლუზიურ უფლებად?

თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოს – 4 000 000 ლარს და ქვეყნის გარეთ გონივრულ ტერიტორიულ ფარგლებში არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იგივე საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა, სამუშაოს შესრულება; თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოს – 4 000 000 ლარს და ქვეყნის შიგნით არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იგივე საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა, სამუშაოს შესრულება.

178. ხდება თუ არა შესყიდვის ექსკლუზივით განხორციელების შემთხვევაში მისი დაჯამება მონეტარული ზღვრის მიხედვით?

მონეტარული ზღვრის მიხედვით ექსკლუზივის დაჯამება არ ხდება ერთგვაროვან ობიექტებთან.

კოდები/კლასიფიკატორები

179. რა არის CPV კოდი?

შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის მიზნით გათვალისწინებული კლასიფიკატორის 8-ნიშნა კოდი. CPV კოდი გამოიყენება შესყიდვის ობიექტის იდენტიფიცირების/აღწერისა და ერთგვაროვნების დადგენის მიზნით.

180. რა არის კლასიფიკატორის დანაყოფი?

კლასიფიკატორი იყოფა 4 ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ შესყიდვების იერარქიულ დონედ, რომელთაგან ყველაზე გამსხვილებულ დონეს წარმოადგენს დანაყოფი, რომელიც შედგება ჯგუფებისაგან. ჯგუფები, თავის მხრივ, შედგება კლასებისაგან, ხოლო კლასები – კატეგორიებისაგან. ზოგიერთ შემთხვევებში კატეგორიები შედგება ქვეკატეგორიებისაგან.

181. კლასიფიკატორის კოდი CPV რვა ციფრი რას განსაზღვრავს?

პირველი სამი ციფრი განსაზღვრავს დანაყოფს (მაგ., XXX00000 – სადაც XXX არის დანაყოფის განმსაზღვრელი ციფრები).

პირველი ოთხი ციფრი განსაზღვრავს ჯგუფს (მაგ., XXXX0000 – სადაც XXXX არის ჯგუფის განმსაზღვრელი ციფრები).

პირველი ხუთი ციფრი განსაზღვრავს კლასს (მაგ., XXXXX000 – სადაც XXXXX არის კლასის განმსაზღვრელი ციფრები)

პირველი ექვსი ციფრი განსაზღვრავს კატეგორიას (მაგ., XXXXXX00 – სადაც XXXXXX არის კატეგორიის განმსაზღვრელი ციფრები); ე) უკანასკნელი ორი ციფრი გამოიყენება შესყიდვის ობიექტის იდენტიფიკაციის მიზნით.

მაგ: მაგალითი 1. შესყიდვის ობიექტი 8-ნიშნა კოდით: 18820000 (სპორტული ფეხსაცმელი) და შესყიდვის ობიექტი 8-ნიშნა კოდით: 18830000 (დამცავი ფეხსაცმელი) შედიან ერთ დანაყოფში (18800000 ფეხსაცმელი), რადგან ორივე ობიექტის 8-ნიშნა კოდის პირველი სამი ციფრი (188) არის იდენტური, შესაბამისად, აღნიშნული შესყიდვის ობიექტები წარმოადგენს შესყიდვის ერთგვაროვან ობიექტებს

182. სავალდებულო არის თუ არა კლასიფიკატორის აღწერა?

გამარჯვებულ პრეტენდენტთან დადებული ხელშეკრულების სისტემაში განთავსებამდე, სავალდებულოა შესაბამის ველში აისახოს მოსაწოდებელი საქონლის მონაცემები, რაც ითვალისწინებს კლასიფიკატორის კოდის, მწარმოებელი ქვეყნის/ კომპანიის, მოდელის, ერთეულის ღირებულების, რაოდენობის და სპეციფიკაციის მითითებას.

183. სად არის განთავსებული კლასიფიკატორის ოფიციალური ვერსია?

კლასიფიკატორის ოფიციალური ვერსია წარმოადგენს სისტემის შემადგენელ ნაწილს, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი/ტექნიკური/სატენდერო დოკუმენტაცია

184. რა არის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველიდოკუმენტები?

ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სატენდერო პირობებით მოთხოვნილ ინფორმაციას პრეტენდენტის მდგომარეობის/საქმიანობის სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით (სარეგისტრაციო მონაცემები, უფლებრივი შეზღუდვები, არსებული ფინანსური და სხვა სახის ვალდებულებები და სხვ.).

185. რა შემთხვევაში აქვს უფლება შემსყიდველ ორგანიზაციას მოითხოვოს სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენა?

თუ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს. თუ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ნაკლებია 200 000 ლარზე, სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რაც უნდა დასაბუთდეს სატენდერო დოკუმენტაციაში. ასეთ შემთხვევაში, სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების რაოდენობა უნდა იყოს მინიმალური, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე.

186. სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი მონაცემებისდამადასტურებელი ცნობები საიდან უნდა იყოს აღებული?

ადმინისტრაციული ორგანოებიდან (მაგ: ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ გაიცემა შემოსავლების სამსახურის მიერ, ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ გაიცემა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და ა.შ.)

187. რა ვადაში უნდა იყოს გაცემული სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი თუ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო პირობების გაცნობის ვადა ნაკლებია 15 დღეზე?

ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „გამოცხადებულია“ მინიჭების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „გამოცხადებულია“ მინიჭებდე არაუგვიანეს 30 დღით ადრე – თუ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო პირობების გაცნობის ვადა ნაკლებია 15 დღეზე;

188. რა ვადაში უნდა იყოს გაცემულისარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი თუ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო პირობების გაცნობის ვადა შეადგენს ან აღემატება 15 დღეს?

ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭებდე არაუგვიანეს 30 დღით ადრე – თუ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო პირობების გაცნობის ვადა შეადგენს ან აღემატება 15 დღეს.

189. რა ვადაში უნდა განიხილოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტაცია?

წარდგენილი სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობა უნდა დადგინდეს მათი წარმოდგენისთვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში.

190. შემსყიდველ ორგანიზაციას თუ აქვს სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის გამო დისკვალიფიკაციის უფლება?

ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის

შემთხვევაში, სატენდერო კომისია ვალდებულია მოახდინოს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. აღნიშნული დისკვალიფიკაციის შემთხვევაში ელექტრონული გარანტია არ უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა N12 ბრძანების მე-40 მუხლის მე-7 და მე-10 პუნქტებით, ასევე 41-ე მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;.

191. ტექნიკური დოკუმენტაციისათვის დისკვალიფიკაციის გამო შავ სიაში ხომ არ მოხვდება მიმწოდებელი?

ტექნიკური დოკუმენტაციის გამო დისკვალიფიკაციის შემთხვევაში მიმწოდებელი არ ხდება შავი სიის კანდიდატი.

192. რა პერიოდამდე არის შესაძლებელი სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილების განხორციელება?

მხოლოდ სტატუსის „ტენდერი გამოცხადებულია“ გათვალისწინებულ ეტაპზე, სანამ დაიწყება წინადადებების მიღება, სისტემაში ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციის გაუქმებით და შეცვლილი/დამატებული დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის გზით.

193. რა ცვლილების შეტანაა დაუშვებელი სატენდერო დოკუმენტაციაში?

დაუშვებელია ტენდერის მეთოდისა და შესყიდვის ობიექტის ცვლილება.

194. რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაცია?

ა) იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი;

ბ) მეთოდებს, რომლებითაც უნდა იყოს გაანგარიშებული სატენდერო წინადადების ღირებულება, იმის მითითებით, უნდა შეიცავდეს თუ არა იგი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს ღირებულების გარდა სხვა ხარჯებსაც (ტრანსპორტირება, დაზღვევა, გადასახადები და სხვ.);

გ) შესასყიდი საქონლის რაოდენობას, მომსახურების ან სამუშაოს მოცულობას, საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან სამუშაოს შესრულების ვადას, ადგილსა და ფორმას;

დ) შესყიდვის ობიექტის ტექნიკური, შესრულების ან/და ფუნქციური სპეციფიკაციების სრულ აღწერას, მათ შორის, გეგმებს, ნახაზებს, ესკიზებს, ინფორმაციას ხარისხის, ფუნქციონირების, უსაფრთხოების, ზომების, შეფუთვის, ნიშანდებისა და მარკირების, წარმოების მეთოდისა და პროცესის, სიმბოლოების, ტერმინების, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადგენილი შესაბამისობის მოთხოვნების შესახებ და სხვ.;

ე) ნიმუშის, ექსპერტიზის დასკვნის ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის წესს (არსებობის შემთხვევაში);

ვ) სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – შესასრულებელი სამუშაოს გონივრულ საგარანტიო ვადას;

ზ) ხელშეკრულების პროექტს;

თ) მითითებას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიაზე (არსებობის შემთხვევაში);

ი) სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალებასა და პროცედურას;

კ) სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობასა და საკონტაქტო ინფორმაციას, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ;

ლ) მითითებას საკომუნიკაციო მომსახურების ალტერნატიული შესყიდვის თაობაზე (არსებობის შემთხვევაში).

195. შესაძლებელია თუ არა სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა?

სატენდერო კომისიას უფლება აქვს, შეცვალოს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია, მხოლოდ სტატუსის „ტენდერი გამოცხადებულია“ ეტაპზე. ამასთან, დაუშვებელია ტენდერის მეთოდისა და შესყიდვის ობიექტის ცვლილება. ეს ცვლილებები უნდა განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადებების მიღების დაწყებამდე.

196. რა არის ტექნიკური მონაცემები? რა სხვაობაა ტექნიკურ და სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის მოთხოვნებს შორის?

ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოადგენს პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნით პრეტენდენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების დადასტურების მიზნით ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტებისა. ტექნიკური მოთხოვნები შეიძლება დაწესებულ იქნეს პრეტენდენტთა პროფესიული კვალიფიკაციის, ფინანსური რესურსების, გამოცდილებისა და რეპუტაციის, ტექნიკური აღჭურვილობისა და სხვა საკითხების მიმართ.

197. შესაძლებელია თუ არა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის ელექტრონულ ფოსტაზე გადაგზავნა?

პრეტენდენტის მიერ სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)იდოკუმენტების ასლების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხდება სისტემის მეშვეობით.

198. რა შემთხვევაში მიმართავს შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით?

სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/ და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/ და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. ამასთან, დაზუსტებას არ ექვემდებარება ტექნიკური დოკუმენტაცია, თუ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნ(ებ)ის შესაბამისად, არ არის წარდგენილი ან მასში არ არის მითითებული ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის შესახებ, ასევე არ არის წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა ან წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიცი(ებ)ის რაოდენობა აღემატება განსაფასებელი

პოზიციების 1%-ს. ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს სამი სამუშაო დღისა.

199. რა ვადაში უნდა განიხილოს სატენდერო კომისიამ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია?

სატენდერო კომისია დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შესაბამისობას განიხილავს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისთვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 2 სამუშაო დღით, მხოლოდ სატენდერო კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ(ებ)ი

200. შესაძლებელია თუ არა ერთი და იგივე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაციის ორჯერ დაზუსტება?

დაუშვებელია პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაციის ორჯერ დაზუსტება.

201. რა ვადაში განიხილავს სატენდერო კომისია პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ნიმუშს, ესპერტიზის დასკვნას ან/და ფასწარმოქმნისადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტებს?

სატენდერო კომისია ნიმუშის, ექსპერტიზის დასკვნის ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის სატენდერო პირობებთან შესაბამისობას ადგენს ექსპერტიზის დასკვნის ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან, ხოლო ნიმუშის შემთხვევაში – მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 2 სამუშაო დღით, მხოლოდ სატენდერო კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ(ებ)ი. თუ ექსპერტიზას ატარებს შემსყიდველი ორგანიზაცია, ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს ნიმუშის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, მხოლოდ

სატენდერო კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მითითებული იქნება სათანადო ობიექტური მიზეზ(ებ)ი.

202. რა შემთხვევაში არის შესაძლებელი დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის (განფასების) წარმოდგენის მოთხოვნა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის მოთხოვნასთან ერთად?

სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის მოთხოვნასთან ერთად, იმავე ვადაში – თუ ტექნიკური დოკუმენტაცია არ საჭიროებს დაზუსტებას, ელექტრონულ ტენდერში არ არის გათვალისწინებული ნიმუშის, ექსპერტიზის დასკვნის ან/და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის ვალდებულება და მოთხოვნილია სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში, ხარჯთაღრიცხვის (განფასების) დადგენილ ვადაში დაუზუსტებლობა, არასრულყოფილად დაზუსტება ან/და არსებითად შეცვლა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ამ წესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

203. რა შემთხვევაში არის შესაძლებელი დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის (განფასების) წარმოდგენის მოთხოვნა ხელშეკრულების დასადებად მოწვევასთან ერთად?

ხარჯთაღრიცხვის (განფასების) დაზუსტება დასაშვებია, თუ ტექნიკური დოკუმენტაცია არ საჭიროებს დაზუსტებას და ელექტრონულ ტენდერში არ არის გათვალისწინებული ნიმუშის, ექსპერტიზის დასკვნის, ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ან/და სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის ვალდებულება. ხარჯთაღრიცხვის (განფასების) დაზუსტებისათვის დგინდება გონივრული, მაგრამ არაუმეტეს 3 სამუშაო დღე, რომელიც ითვლება ხელშეკრულების დასადებად განსაზღვრულ ვადაში. ასეთ შემთხვევაში, ხარჯთაღრიცხვის დადგენილ ვადაში დაუზუსტებლობა, არასრულყოფილად დაზუსტება ან/და არსებითად შეცვლა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ამ წესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

აფიდავიტი

204. რა არის აფიდავიტი?

წერილობითი დოკუმენტი, რომლის ხელმომწერი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის.

205. აფიდავიტზე თანხმობის განცხადება როგორ ხდება?

სისტემაში აფიდავიტის ტექსტის გაცნობის შემდეგ, მიმწოდებელი აფიქსირებს მის მიერ ტენდერის დროს წარდგენილი ინფორმაციის უტყუარობას და თანხმობას ადასტურებს ღილაკზე ,,თანხმობა" დაჭერით.

206. რა სანქციას იწვევს პრეტენდენტის მიერ აფიდავიტის წესების დარღვევა?

აფიდავიტის წესების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლის მიმართ ხდება დისკვალიფიკაციის მინიჭება არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო, რის საფუძველზეც პრეტენდენტს არ დაუბრუნდება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1% გარანტია.

დისკვალიფიკაცია

207. როგორ უნდა მოიქცეს შემსყიდველი ორგანიზაცია, თუ წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში ტექნიკური უზუსტობაა?

შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისია მსჯელობს აღნიშნული უზუსტობები ხომ არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას, ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. თუ აღნიშნულს ადგილი არ აქვს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს პრეტენდენტს მის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების მოთხოვნით.

208. განსაზღვრულ ვადაში წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის ტექნიკური უზუსტობის დაუზუსტებლობის შემთხვევაში რა ხდება?

სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

209. რა ხდება, თუ სისტემაში ატვირთულია ხარვეზის მქონე ტექნიკური დოკუმენტაცია? (ფაილი არ იკითხება).

იმ შემთხვევაში, თუ სისტემაში მთლიანი ტექნიკური დოკუმენტაცია ატვირთულია ხარვეზის მქონე ფაილის სახით (რომელიც არ იკითხება), შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება არ აქვს, პრეტენდენტს მიმართოს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხარვეზიანია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი ნაწილი, რომლის წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „გამარჯვებული გამოვლენილია“ მინიჭებამდე.

210. ხდება თუ არა დისკვალიფიკაცია მაშინ როდესაც მიმწოდებელი ტვირთავს სხვა მიმწოდებლის დოკუმენტაციას სისტემაში?

იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მეშვეობით ფასი წარმოდგენილი აქვს ერთ მიმწოდებელს, ხოლო მის ტექნიკურ დოკუმენტაციაში ატვირთულია სხვა

მიმწოდებლის მონაცემები, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს მისი დისკვალიფიკაცია.

სატენდერო/საკონკურსო კომისია და აპარატი

211. ვინ ქმნის სატენდერო/საკონკურსო კომისიას?

შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

212. რამდენი წევრი უნდა იყოს სატენდერო/საკონკურსო კომისიაში?

სატენდერო/საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან.

213. როგორ მიიღება სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება?

სატენდერო/საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს წევრთა ხმათა უმრავლესობით.

214. ვინ არის სატენდერო/საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე?

შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ დანიშნული პირი.

215. სატენდერო/საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე არის თუ არა აპარატის თავმჯდომარეც?

ორგანიზაციის თანამშრომელთაგან იქმნება სატენდერო/საკონკურსო კომისიის აპარატი, რომელსაც ხელმძღვანელობს სატენდერო/საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

216. რამდენი წევრი უნდა იყოს სატენდერო/საკონკურსო კომისიის აპარატში?

აპარატის წევრთა რაოდენობა არ არის განსაზღვრული.

217. კომისიის წევრი რომ იყოს აპარატის წევრიც თუ არის შესაძლებელი?

შესაძლებელია.

218. რა ინფორმაცია უნდა აისახოს ოქმებში?

სატენდერო/საკონკურსო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა აისახოს სატენდერო/საკონკურსო კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმში.

219. ტექნიკურად როგორ დგება სხდომის ოქმი?

სატენდერო/საკონკურსო კომისია თავის გადაწყვეტილებას აძლევს ოქმის სახეს, რომელსაც ტენდერის მიმდინარეობის ეტაპის შესაბამისად ენიჭება ნუმერაცია. ოქმში ასახული უნდა იყოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება და რომელსაც ხელს უნდა აწერდეს დამსწრე კომისიის ყველა წევრი. ოქმი ხელმოწერისთანავე ატვირთული უნდა იქნეს სისტემაში. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება მხოლოდ სატენდერო კომისიის ყველა დამსწრე წევრის მიერ ოქმზე ხელმოწერის შემდეგ. სისტემაში ატვირთული ოქმის შეცვლა შეუძლებელია.

220. შესაძლებელია თუ არა კომისიაში მოწვეული იქნენ ექსპერტები ან კონსულტანტები? აქვთ თუ არა მათ ხმის უფლება?

კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიაში ექსპერტებად და კონსულტანტებად, სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეული იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

221. მოწვეულ ექსპერტს ან კონსულტანტს აქვს თუ არა იგივე სახის პასუხისმგებლობა რაც სატენდერო კომისიის წევრს?

მოწვეულ ექსპერტს ან კონსულტანტს, რომელიც მის პოზიციას გამოხატავს, რომელსაც ადასტურებს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმზე ხელმოწერით აქვს პასუხისმგებლობა, როგორც სატენდერო კომისიის წევრს, მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელზეც გამოხატა პოზიცია.

222. სატენდერო კომისიაში უნდა იყოს თუ არა შემსყიდველი ორგანიზაციის მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირები?

იმ შემთხვევაში, როცა შესაბამის კანდიდატთა რაოდენობა არასაკმარისია, კომისიის წევრებად შეიძლება დაინიშნონ შემსყიდველი ორგანიზაციის სხვა თანამშრომლებიც.

დავების განხილვის საბჭო

223. ვინ არიან დავების განხილვის საბჭოს წევრები ?

იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებზე ნაკლებია, საბჭოს შემადგენლობაში პარიტეტული პრინციპის საფუძველზე შედის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სამი წარმომადგენელი და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაბამისი პროფილის სამი წარმომადგენელი.

იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს შეადგენს ან აღემატება, საბჭოს შემადგენლობაში, გარდა ზემოაღნიშნული პირებისა, შედის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კონკურენციის სააგენტოს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს ბიზნესომბუდსმენის თითო წარმომადგენელი, აგრეთვე აკადემიური წრეების შესაბამისი პროფილის ერთი წარმომადგენელი.

224. რომელი სახელმწიფო შესყიდვის საშუალების ჩატარებისას წარმოშობილ დავებს იხილავს დავების განხილვის საბჭო ?

დავების განხილვის საბჭო იხილავს ელექტრონული ტენდერისა და კონკურსის ჩატარებისას წარმოშობილ დავებს.

225. იხილავს თუ არა დავების განხილვის საბჭო შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებულ საჩივარს?

დავების განხილვის საბჭო არ იხილავს შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებულ საჩივარს.

226. შეუძლია თუ არა შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს ან პრეტენდენტს, რომ დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრების უფლებამოსილების გამოყენების გარეშე, შემსყიდველი ორგანიზაციის

ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება პირდაპირ გაასაჩივროს სასამართლოში ?

შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს ან პრეტენდენტს, შეუძლია, რომ დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრების უფლებამოსილების გამოყენების გარეშე, შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება პირდაპირ გაასაჩივროს სასამართლოში.

227. ვის აქვს სატენდერო/საკონკურსო პირობების გასაჩივრების უფლება ?

სატენდერო/საკონკურსო პირობების (მათ შორის, სატენდერო პირობებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების/ქმედების) გასაჩივრების უფლება აქვს შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს ან პრეტენდენტს.

228. ვის აქვს შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების/ქმედების გასაჩივრების უფლება ?

ელექტრონული ტენდერისთვის/კონკურსისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან ხელშეკრულების დადებამდე შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების/ქმედების გასაჩივრების უფლება აქვს პრეტენდენტს, რომელსაც მიაჩნია, რომ შესყიდვის პროცესში დაირღვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები და შეილახა მისი უფლებები.

229. რა ვადაშია შესაძლებელი დავების განხილვის საბჭოში სატენდერო/საკონკურსო პირობების ჩანაწერის გასაჩივრება?

სატენდერო/საკონკურსო პირობების ჩანაწერის (მათ შორის, ამ პირობებში ცვლილების) გასაჩივრება შესაძლებელია ელექტრონული ტენდერისთვის/კონკურსისთვის სტატუსის „გამოცხადებულია“ მინიჭებიდან სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭებამდე.

230. რა ვადაშია შესაძლებელი დავების განხილვის საბჭოში სატენდერო/საკონკურსო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების/ქმედების გასაჩივრება?

ელექტრონული ტენდერისთვის/კონკურსისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან ხელშეკრულების დადებამდე შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების/ქმედების გასაჩივრება შესაძლებელია შესაბამისი გადაწყვეტილების შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის მიერ სისტემაში ატვირთვიდან, ხოლო ქმედების შემთხვევაში – ამ ქმედების განხორციელებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ელექტრონული ტენდერის/კონკურსის ჩატარების შედეგად ხელშეკრულების გაფორმებამდე.

231. როგორ ხდება საჩივრის წარდგენა დავების განხილვის საბჭოში?

საჩივარი საბჭოში წარდგენილი უნდა იქნეს ელექტრონულად, სატენდერო/საკონკურსო განცხადებაში არსებული სისტემური ღილაკის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის“ დანართის შესაბამისად. საჩივრის წარსადგენად აუცილებელია სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრაცია.

232. რა პროცედურის გავლაა საჭირო დავების განხილვის საბჭოში საჩივრის წარსადგენად ?

საჩივრის წარსადგენად აუცილებელია სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრაცია. საჩივრის წარსადგენად გასაჩივრების მსურველი ირჩევს იმ ელექტრონულ ტენდერს ან კონკურსს რომლის გასაჩივრებაც სურს და განცხადების გვერდის ქვედა მარჯვენა მხარეს აჭერს ღილაკს „გასაჩივრება“. ღილაკის „გასაჩივრება“ დაჭერის შემდგომ, პრეტენდენტი უნდა მიყვეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ელექტრონული ფორმისა და მისი შევსების ინსტრუქციის“ საჩივრის შევსების ინსტრუქციას.

233. სად არის განთავსებული გასაჩივრების სისტემური ღილაკი ?

გასაჩივრების ღილაკი განთავსებულია სისტემაში, ყოველ სატენდერო/საკონკურსო განცხადებაში.

234. სავალდებულოა თუ არა საჩივრის ფორმის ყველა ველის შევსება?

საჩივრის საბჭოსთვის წარსადგენად აუცილებელია საჩივრის ფორმის ყველა სავალდებულო ველის შევსება.

235. საჩივრის რომელი ფორმა უნდა აირჩიოს მომჩივანმა იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ეხება სატენდერო/საკონკურსო კომისიის მიერ შესაბამისი სხდომის კონკრეტული ოქმ(ებ)ით მიღებულ გადაწყვეტილებას?

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ეხება სატენდერო/საკონკურსო კომისიის მიერ შესაბამისი სხდომის ოქმ(ებ)ით მიღებულ გადაწყვეტილებას, მომჩივანმა უნდა აირჩიოს საჩივრის ფორმა - „სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება“, კერძოდ „სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება“.

236. საჩივრის რომელი ფორმა უნდა აირჩიოს მომჩივანმა იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ეხება სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციის ჩანაწერს?

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ეხება სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციის ჩანაწერს მომჩივანმა უნდა აირჩიოს საჩივრის ფორმა - „სატენდერო/საკონკურსო პირობები“.

237. საჩივრის რომელი ფორმა უნდა აირჩიოს მომჩივანმა იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ეხება „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით დასმულ კითხვაზე სატენდერო/საკონკურსო კომისიის მიერ გაკეთებულ განმარტებას ან განმარტების გაკეთებისგან თავის შეკავებას?

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ეხება „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით დასმულ კითხვაზე სატენდერო/საკონკურსო კომისიის მიერ გაკეთებულ განმარტებას ან განმარტების გაკეთებისგან თავის შეკავებას მომჩივანმა უნდა აირჩიოს საჩივრის ფორმა - „სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება“, კერძოდ „სატენდერო/საკონკურსო კომისიის ქმედება“.

238. როგორ უნდა ჩამოყალიბდეს საჩივრის მოთხოვნა ?

მომჩივანი ვალდებულია, კონკრეტულად განსაზღვროს საჩივრის მოთხოვნა. საჩივრის აღნიშნულ გრაფაში კონკრეტულად უნდა მიეთითოს, თუ რას ითხოვს ის დავების საბჭოსგან. მოთხოვნის ჩამოყალიბებისას გასათვალისწინებელია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის“ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის ჩანაწერი.

239. რა შემთხვევაში არ დგინდება საჩივრის წარდგენის საფასური?

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ეხება სატენდერო/საკონკურსო პირობებს (მათ შორის, სატენდერო/საკონკურსო პირობებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების/ქმედებას) საბჭოსთვის საჩივრის წარსადგენად არ დგინდება საჩივრის წარდგენის საფასური.

240. რას შეადგენს საჩივრის წარდგენის საფასური ?

საბჭოსთვის საჩივრის წარსადგენად განსაზღვრული საჩივრის წარდგენის საფასურის ოდენობა შეადგენს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 2%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 და არაუმეტეს 500 ლარისა.

241. საჩივრის წარდგენის რა ეტაპზე უნდა გადაიხადოს მომჩივანმა საჩივრის წარდგენის საფასური ?

მომჩივანი ვალდებულია, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, გადაიხადოს საჩივრის წარდგენის საფასური საჩივრის წარდგენის მომენტში. ღილაკის „გადახდა/საჩივრის წარდგენა“ დაჭერის შემდგომ, მომჩივანი ვალდებულია, საბანკო პლასტიკური ბარათის მეშვეობით გადაიხადოს საჩივრის წარდგენის საფასური. ამ დროს სისტემა უზრუნველყოფს საჩივრის წარდგენის საფასურის შესაბამისი ოდენობის თანხის დაბლოკვას.

242. ბრუნდება თუ არა უკან გადახდილი საჩივრის წარდგენის საფასური ?

გადახდილი საჩივრის წარდგენის საფასური უკან ბრუნდება ყველა შემთხვევაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჩივარი არ დაკმაყოფილდება. ასეთ შემთხვევაში საჩივრის წარდგენის საფასური მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში. სხვა ყველა შემთხვევაში საჩივრის წარდგენის საფასური უკან ბრუნდება მისი წარდგენიდან 30 დღის გასვლისთანავე.

243. ჩერდება თუ არა გასაჩივრებული შესყიდვის პროცედურები საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში?

საჩივრის დასაშვებად ცნობისთანავე გასაჩივრებული შესყიდვის პროცედურები ჩერდება ავტომატურად, ელექტრონული ვაჭრობის დასრულების შემდეგ. საჩივრის დასაშვებად ცნობის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია არ მიიღოს გადაწყვეტილება ან არ განახორციელოს ქმედება გასაჩივრებულ შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული საჩივრის განხილვის ვადაში. შემსყიდველი ორგანიზაცია აგრეთვე ვალდებულია, იმავე შესყიდვის ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებით არ გამოაცხადოს ან შეაჩეროს უკვე გამოცხადებული ხელახალი ელექტრონული ტენდერი/კონკურსი (არსებობის შემთხვევაში). ამ შემთხვევაში შესყიდვის პროცედურები აგრეთვე ჩერდება პრეტენდენტ(ებ)ისთვისაც.

244. საჩივრის შემოტანიდან რა პერიოდში ეცნობება მომჩივანს მისი დასაშვებად ცნობის (მიღების) შესახებ?

საჩივრის დასაშვებობის დადგენის მიზნით, საბჭოს აპარატი, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, იხილავს საბჭოსთვის წარდგენილი საჩივრის შესაბამისობას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 231 მუხლითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესით“ დადგენილ მოთხოვნებთან. თუ საჩივარი შეესაბამება კანონის 231 მუხლითა და ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს, საბჭოს აპარატი დასაშვებად ცნობს მას და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ ასახავს შესაბამის ინფორმაციას ელექტრონულ მოდულში.

245. რა საშუალებით ეცნობება მომჩივანს საჩივრის დასაშვებად ცნობის (მიღების) შესახებ ინფორმაცია ?

საბჭოს აპარატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ან დაუშვებლად ცნობის შესახებ განთავსდება საბჭოსთვის განკუთვნილ სპეციალურ ელექტრონული მოდულში - https://tenders.procurement.gov.ge/dispute და აღნიშნული ინფორმაცია/შეტყობინება მხარეთათვის ჩაბარებულად ითვლება მისი განთავსებისთანავე.

246. რა არის საჩივრის ხარვეზი?

იმ შემთხვევაში, თუ საბჭოში წარმოდგენილი საჩივარი არასრულყოფილად არის ჩამოყალიბებული (მაგალითად, არასწორად არის ჩამოყალიბებული საჩივრის მოთხოვნა, დეტალურად არ არის დასაბუთებული თუ რატომ ეწინააღმდეგება გასაჩივრებული სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციის ჩანაწერი ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის სადავო გადაწყვეტილება/ქმედება კანონმდებლობას და ა.შ.) დავების საბჭოს აპარატი მომჩივანს განუსაზღვრავს საჩივარში არსებული ხარვეზის გამოსასწორებელ ვადას, მაგრამ არაუმეტეს მომდევნო სამუშაო დღისა, რაც პრეტენდენტს ეცნობება სისტემის შესაბამისი მოდულის საშუალებით. თუ მომჩივანი დადგენილ ვადაში არ გამოასწორებს ხარვეზს, სისტემა ავტომატურად ცნობს საჩივარს დაუშვებლად.

247. როგორ ხდება საჩივრის დაზუსტება (საჩივარზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორება) ?

იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს აპარატი მომჩივანს მიმართავს საჩივრის დაზუსტების მოთხოვნით, მომჩივანმა ელექტრონულად უნდა დააზუსტოს საჩივრის ფორმის ის ველ(ებ)ი, რომელზეც/რომლებზეც საბჭოს აპარატმა დაადგინა ხარვეზი.

საჩივრის შესწორება შესაძლებელია ღილაკის „რედაქტირება“ მეშვეობით, რის შემდგომაც საჩივრის ფორმა (ველ(ებ)ი) უნდა შეივსოს (დაზუსტდეს) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ელექტრონული ფორმისა და მისი შევსების ინსტრუქციის“ საჩივრის შევსების ინსტრუქციის

შესაბამისად. მომჩივანმა დაზუსტებული საჩივარი საბჭოს უნდა წარუდგინოს ღილაკის „დაზუსტებული საჩივრის წარდგენა“ მეშვეობით.

248. აუცილებელია თუ არა, რომ მხარეები დავების განხილვის საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილნი იყვნენ პირადად?

საბჭოს სხდომაზე მხარეები და დაინტერესებული პირები შესაძლებელია წარმოდგენილ იყვნენ, როგორც პირადად, ასევე წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენელი ვალდებულია, წარადგინოს მისი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი – მინდობილობა.

249. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს სხდომაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდება?

საბჭოს სხდომაზე დადგენილი წესით მოწვეულ მხარეთა და დაინტერესებულ პირთა (არსებობის შემთხვევაში) გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას.

250. როგორ ეცნობებათ მხარეებს დავების განხილვის საბჭოს დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია?

საბჭოს სხდომის დრო და ადგილი მხარეებს და დაინტერესებულ პირებს (არსებობის შემთხვევაში) ეცნობებათ საბჭოსთვის განკუთვნილი სპეციალური ელექტრონული მოდულის (https://tenders.procurement.gov.ge/dispute) მეშვეობით, კერძოდ, თითოეული საჩივრის მარჯვენა ზედა კუთხეში მითითებულია დავის განხილვის დრო და ადგილი. აღნიშნული ინფორმაცია/შეტყობინება მხარეთათვის ჩაბარებულად ითვლება მისი განთავსებისთანავე.

251. შეუძლია თუ არა მომჩივანს საჩივრის გამოხმობა?

მომჩივანს უფლება აქვს, საბჭოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებისმიერ დროს გამოიხმოს საჩივარი.

252. რა ფორმით უნდა მოხდეს საჩივრის გამოხმობა და რა უნდა მიეთითოს წერილში?

მომჩივანმა საჩივრის გამოხმობის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს საბჭოს აპარატს. განცხადება უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მასში მითითებული უნდა იყოს შესაბამისი საჩივრის რეკვიზიტები (საჩივრის ნომერი, შემსყიდველი ორგანიზაცია, საჩივრის წარდგენის თარიღი, საათი).

253. რა ვადაში იღებს დავების განხილვის საბჭო გადაწყვეტილებას?

საბჭო დასაბუთებულ წერილობით გადაწყვეტილებას იღებს და აქვეყნებს მას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში საჩივრის დასაშვებად ცნობიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

254. სად განთავსდება დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება?

საბჭოს გადაწყვეტილება მიღებისთანავე ქვეყნდება საბჭოსთვის განკუთვნილ სპეციალურ ელექტრონულ მოდულში (https://tenders.procurement.gov.ge/dispute), საჯაროა და ითვლება მხარისათვის და დაინტერესებული პირისთვის (არსებობის შემთხვევაში) ჩაბარებულად.

255. სავალდებულოა თუ არა დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულება?

საბჭოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულება სავალდებულოა.

256. რა ვადაში უნდა შესრულდეს დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება?

დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა დაუყოვნებლივ.

257. ითვალისწინებს თუ არა რაიმე სახის პასუხისმგებლობას დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა?

საბჭოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იწვევს სატენდერო/საკონკურსო კომისიის შესაბამისი წევრის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

258. ვის შეიძლება მივაწოდოთ ინფორმაცია დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღუსრულებლობის შესახებ?

ნებისმიერ დაინტერესებულს პირს უფლება აქვს, მიმართოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და მიაწოდოს მას ინფორმაცია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბჭოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობის ან მისი აღსრულების შეფერხების შესახებ.

259. როგორ ხდება დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება?

დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, გადაწყვეტილების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6 (საფოსტო ინდექსი – 0131).

260. დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში ჩერდება თუ არა მისი მოქმედება ?

დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული საკითხები

261. რომელი ნორმატიული აქტი ითვალისწინებს შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო კომისიის წევრ(ებ)ის პასუხისმგებლობას და რა ტიპის სანქციები არის დაწესებული?

პასუხისმგებლობის ზომას და სანქციას ადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

262. საჯარიმო სანქციის შემთხვევაში კომისიის ყველა წევრი ჯარიმდება?

საჯარიმო სანქციის შემთხვევაში ჯარიმდება ყველა ის კომისიის წევრი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო გადაწყვეტილების მიღებაში და ხელი მოაწერა ოქმს.

263. საჯარიმო სანქცია იწვევს თუ არა ისეთი პირის მიმართ პასუხისმგებლობის გამოყენებას, რომელმაც სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში გამოხატა განსხვავებული აზრი, რომლითაც მას არ დაურღვევია კანონმდებლობა?

ასეთი გარემოება არ იწვევს კომისიის წევრის საჯარიმო სანქციას, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მისი განსახვავებული აზრი დაფიქსირებულია ოქმში და არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

264. აქვს თუ არა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლება გამოიყენოს გაფრთხილების ზომა სამართალდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში?

სააგენტოს არ აქვს უფლება შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართ გამოიყენოს გაფრთხილება, რადგან აღნიშნული განეკუთვნება სასამართლოს.

265. რა ვადაში უნდა მოხდეს დარღვევის აღმოჩენიდან სახდელის დადება?

აღნიშნული ვადა გათვალისწინებულია საქართველოს სამართალდარღვევათა კოდექსით და ითვალისწინებს დარღვევის აღმოჩენიდან 6 თვიან ვადას.

266. სააგენტო ახორციელებს დაჯარიმებას?

სააგენტო ახდენს მხოლოდ ფაქტების აღწერას სამართალდარღვევის ოქმში, რომელიც გადაიგზავნება სასამართლოში, ხოლო სასამართლო მისი კომპეტენციის ფარგლებში იხილავს ოქმს.

267. არის თუ არა სასამართლო უფლებამოსილი გამოიყენოს პირის მიმართ შენიშვნა?

სასამართლო უფლებამოსილია საქმის განხილვის შესწავლის საფუძველზე შემოიფარგლოს შენიშვნით.

268. განსჯადობის მიხედვით რომელი სასამართლო არის უფლებამოსილი განიხილოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სამართალდარღვევა?

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სამართალდარღვევა რაც გათვალისწინებულია 155^5-159^9 მუხლებით იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

269. მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო არის უფლებამოსილი აღმოაჩინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმი?

155^5-159^9 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აქვს უფლება შეადგინოს ოქმი და გადააგზავნოს სასამართლოში შემდგომი რეაგირებისათვის.

270. საჯარიმო სანქცია გათვალისწინებულია თუ არა სატენდერო კომისიის აპარატის წევრების მიმართ?

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ ითვალისწინებს სატენდერო კომისიის აპარატის საჯარიმო სანქციას.

271. სავალდებულოა თუ არა სააგენტოში სხდომას დაესწროს ყველა სატენდერო კომისიის წევრი?

სავალდებულო არ არის, შესაძლებელია კომისიის წევრებმა გასცენ ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა მათვის სასურველ პირზე.

272. არის თუ არა სავალდებულო სხდომაზე შედენილი სამართალდარღვევის ოქმზე ხელმოწერა?

ოქმზე ხელმოწერა სავალდებულო არ არის. უარის შემთხვევაში სამართალდამრღვევმა პირმა უნდა დაასაბუთოს ხელმოწერაზე უარის მიზეზი.

273. სამართალდარღვევის ოქმზე ხელმოწერით ხომ არ ხდება ოქმში მითითებულ დარღვევებზე დათანხმება?

ოქმზე ხელმოწერით დასტურდება, რომ შესაბამისი პირები ესწრებოდნენ სხდომას.

274. იმ შემთხვევაში თუ გათავისუფლებულია სამართალდამრღვევი პირი თანამდებობიდან ეკისრება თუ არა ასეთ პირს საჯარიმო სანქცია?

სამართალდამრღვევ პირს თანამდებობიდან გათავისუფლება არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან.

275. აქვს თუ არა უფლება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სამართალდარღვევის ოქმთან დაკავშირებული, ადმინისტრაციული წარმოების დროს შემოიფარგლოს გაფრთხილებით?

არა, აღნიშნული უფლებამოსილება სააგენტოს არ აქვს, გაფრთხილების გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს, შესაბამისი გარემოების არსებობისას.

276. იმ შემთხვევაში თუ დარღვევა ეხება მონეტარული ზღვის დარღვევას ან ხელოვნურ დაყოფას ვის მიმართ შედგება სამართალდარღვევის ოქმი?

მონეტარული ზღვრის დარღვევისას ან ხელოვნური დაყოფის შემთხვევაში სამართალდარღვევის ოქმი შედგება ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიმართ.

277. იმ შემთხვევაში თუ დარღვეულია ხელშეკრულების დადების წესები ვის მიმართ შედგება სამართალდარღვევის ოქმი?

ხელშეკრულების დადების წესების დარღვევის შემთხვევაში ოქმი შედგება პასუხისმგებელი პირის მიმართ, კერძოდ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მიმართ.

278. იმ შეთხვევაში თუ დარღვევა ეხება ტენდერში სატენდერო დოკუმენტაციის არასწორ შედგენას ვის მიმართ შედგება სამართალდარღვევის ოქმი?

ტენდერში სატენდერო დოკუმენტაციის არასწორი შედგენის ფაქტის შემთხვევაში, სამართალდარღვევის ომი შედგენილი იქნება სატენდერო კომისიის წევრების მიმართ, მხოლოდ იმ წევრების მიმართ რომლებიც ხელს აწერენ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმს.

279. არის თუ არა დადგენილი ხანდაზმულობის ვადა ადმინისტრაციული ოქმების წარმოების დროს?

დარღვევის აღმოჩენიდან 6 თვე.

280. რა დოკუმენტებს აგზავნის სააგენტო სამართალდარღვევის ოქმთან ერთად სასამართლოში?

სასამართლოში სამართალდარღვევის ოქმთან ერთად იგზავნება შესაბამისი დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დარღვევის შინაარსიდან გამომდინარე.

ინტერესთა კონფლიქტი

281. რა არის ინტერესთა კონფლიქტი?

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები ეხება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგ საქმიანობას:

საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების განხილვას, შერჩევას და შეფასებას;

შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოლაპარაკების გამართვას;

ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას;

მიმწოდებლის შერჩევას გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში;

საკონკურსო წინადადების განხილვას და კონკურსის მეშვეობით მიმწოდებლის შერჩევას;

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავის განხილვას.

282. სავალდებულოა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით დადება?

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ინფორმაცია სისტემაში უნდა აიტვირთოს სატენდერო კომისიის ყველა წევრის მიერ აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის რომელიმე წევრს აქვს ინტერესთა კონფლიქტი მიმწოდებელთან, მან უნდა განაცხადოს ამის შესახებ წერილობით და არ მიიღოს მონაწილეობა შესყიდვის პროცედურებში.

283. ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ ინფორმაციის სისტემაში ატვირთვა აუცილებელია?

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილი სისტემაში ატვირთვა სავალდებულოა.

284. იწვევს თუ არა რაიმე ტიპის სანქციას ინტერსთა კონფლიქტის ხელწერილის კანონმდებლობის მოთხოვნათა გარეშე დადება?

ინტერესთა კონფლიქტის ხელწერის კანონმდებლობის დარღვევით დადების შემთხვევაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 159[7] მუხლით გათვალისწინებულია შესაბამისი სანქცია, რომელიც ეკისრება ყველა კომისიის წევრს.

285. სავალდებულოა თუ არა ინტერესთა კონფლიქტის ხელწერილის დადება გამარტივებული შესყიდვის განხორციელების დროს?

სავალდებულოა.

შესყიდვების გეგმა

286. შესყიდვების გეგმაზე ხელმოწერა და ბეჭდის დასმა აუცილებელია?

გეგმის დამტკიცების წესი და ფორმა განისაზღვრება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ. ePLAN-ში გეგმის რეგისტრაციისათვის შემსყიდველი ორგანიზაცია განსაზაღვრავს უფლებამოსილ პირს, რომელიც სისტემაში არეგისტრირებს გეგმას. სისტემაში რეგისტრაციისას გეგმა არ საჭიროებს შესაბამისად უფლებამოსილი პირის ხელმოწერას.

287. ვინ არის უფლებამოსილი, რომ განსაზღვროს შესყიდვების გეგმის დამტკიცების წესი და ფორმა?

გეგმის დამტკიცების წესი და ფორმა განისაზღვრება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.

288. როდის უნდა წარმოადგინონ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესყიდვების წლიური გეგმა?

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მომდევნო წლის შესყიდვების წლიური გეგმა დაარეგისტრიროს ePLAN-ში არა უგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბრისა, რის შემდეგაც შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაიწყოს მომდევნო წლისათვის/წლებისათვის აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.

289. შესყიდვების გეგმის კორექტირება როდის ხდება?

საჭიროების შესაბამისად, იმ შესყიდვის განხორციელებამდე, რომლის გამოც ხდება გეგმის კორექტირება.

290. არსებობს თუ არა შეზღუდვა შესყიდვების გეგმის კორექტირებასთან დაკავშირებით?

არა.

291. კორექტირებული გეგმაც უნდა აიტვირთოს სისტემაში?

შესაბამისი კორექტირება უნდა იქნეს ასახული ePLAN-ში.

292. სჭირდება თუ არა გეგმას დასაბუთება კორექტირების შესახებ?

არა. თუმცა განხორციელებული ქმედება ზოგადად არგუმენტირებული უნდა იყოს გეგმის შენიშვნის გრაფაში.

293. სხვადასხვა დაფინანსების შემთხვევაში გეგმა გაერთიანებული უნდა იყოს?

ePLAN-ში გეგმის რეგისტრაციისას ამა თუ იმ შესყიდვის ობიექტზე უნდა მიეთითოს დაფინანსების წყარო.

294. მრავალწლიანი შესყიდვა როგორ აისახება გეგმაში?

მრავალწლიანი შესყიდვა ყოველწლიურად აისახება შესაბამისი საბიუჯეტო წლის შესყიდვების გეგმაში. შესაბამის საბიუჯეტო წელს გადასახდელი თანხები აისახება შესაბამისი წლის შესყიდვების გეგმაში.

295. მრავალწლიანი შესყიდვის შემთხვევაში ვისთან ხდება შეთანხმება?

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ან/და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანოსთან.

296. რა განიხილება მრავალწლიან შესყიდვად და რა არა?

მრავალწლიან შესყიდვად განიხილება, თუ გადახდა ხორციელდება ორი ან მეტი საბიუჯეტო წლის განმავლობაში. შესყიდვა არ განიხილება მრავალწლიან შესყიდვად, თუ იგი ხორციელდება მხოლოდ მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში გათვალისწინებული ასიგნებებით, ხოლო მიწოდება ხორციელდება მომდევნო საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

297. რომელი ორგანო ახორციელებს მრავალწლიან შესყიდვას შეთანხმების გარეშე?

საქართველოს ეროვნული ბანკი, ასევე ის შემსყიდველი ორგანიზაციები, რომელთა მიერ მრავალწლიანი შესყიდვა არ ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“–„ა.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სახსრებით.

გადაუდებელი შესყიდვა

298. რა არის გადაუდებელი აუცილებლობა?

ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული, ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას.

299. ვინ იღებს გადაწვეტილებას გადაუდებელი შესყიდვის შესახებ?

შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

300. რამდენი მიმწოდებლისგან შეიძლება განხორციელდეს ალტერნატიული შესყიდვა, არსებობს თუ არა რაიმე შეზღუდვა?

ალტერნატიული შესყიდვა შესაძლოა განხორციელდეს რამდენიმე ალტერნატიული მიმწოდებლისგან.

301. როგორ ხდება გადაუდებელი შესყიდვის შესახებ შეთანხმება და რა უნდა წარმოედგინოს სააგენტოს?

ექსკლუზივის, გადაუდებელი აუცილებლობის, ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების და სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეუფერხებლად ჩატარებისთვის განკუთვნილ შემთხვევებში გამარტივებული შესყიდვის განხორციელებამდე (გარდა გამონაკლისი შემთხვევისა) შემსყიდველმა ორგანიზაციამ ხელშეკრულების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეათანხმოს სააგენტოსთან. გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება სააგენტოსთან თანხმდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მომართვის სისტემის SMP მოდულში წარდგენის გზით. შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვის საფუძვლიანობა და მისი დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობა მოწმდება სახელმწიფო

შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ დანართით განსაზღვრული კითხვარით, რომელიც გენერირებულია სისტემის SMP მოდულში.

სასწავლო ცენტრი

302. ვის შეუძლია გაიროს ტრენინგი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში?

ტრენინგი „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“ განკუთვნილია სახელმწიფო უწყებების, მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ებისა და შპს-ების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათ მიერ დაფუძნებული და მათ მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ააიპ-ების, შპს-ებისა და სხვ.) შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტებისათვის. ჩვენ მიერ შემოთავაზებული კურსი განკუთვნილია მხოლოდ მათთვის, ვინც ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს ან შესყიდვების მონიტორინგს და სურთ აიმაღლონ კვალიფიკაცია.

303. როგორ ხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში რეგისტრაცია?

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ტრენინგ ცენტრში რეგისტრაცია შესაძლებელია სააგენტოს საიტზე განთავსებული განაცხადის შევსების მეშვეობით; იხილეთ ბმული:

http://procurement.gov.ge/TrainingCenter/training/registration.aspx

304. რამდენი ხანი გრძელდება ტრენინგი?

ტრენინგის ხანგრძლივობა არის 10 სამუშაო დღე.

305. ფასიანი არის თუ არა შესყიდვებთან დაკავშირებული ტრენინგის გავლა?

სააგენტოს ტრენინგ ცენტრში ტრენინგის გავლა უფასოა ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის.

306. აუცილებელი არის თუ არა შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი იყოს პირი, რომლის საქმიანობაც მხოლოდ შესყიდვებთან არის დაკავშირებული?

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შემოთავაზებული კურსი განკუთვნილია მხოლოდ მათთვის, ვინც ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს ან შესყიდვების მონიტორინგს და სურთ აიმაღლონ კვალიფიკაცია.

307. ხდება თუ არა მიმწოდებელი ორგანიზაციების დატრენინგება?

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ტრენინგით ამ ეტაპზე მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციების გადამზადებაა შესაძლებელი.

308. გასცემს თუ არა ტრენინგ ცენტრი კურსდამთავრებულებზე რაიმე დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს, რომ მან გაიარა შესაბამისი კურსი?

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გასცემს ტრენინგის გავლის დამადასტურებელ სერთიფიკატს სამი განსხვავებული კატეგორიის მიხედვით: „წარმატებით გაიარა“, „კარგად გაირა“ და „დამაკმაყოფილებლად გაიარა“; კატეგორიები დამოკიდებულია ტესტირების შედეგზე.

ელექტრონული ხელმოწერის და შტამპის გამოყენება სახელმწიფო შესყიდვებში

309. რომელი კანონი აწესრიგებს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის და ელექტრონული შტამპის შესახებ სამართლებრივ საკითხებს?

აღნიშნული მოწესრიგებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

310. რა პერიოდიდან გახდა სავალდებულო კვალიფიციური ელექტრონული შტამპის და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება და ვის ეხება აღნიშნული?

2019 წლის 1 იანვრიდან, იმ პირებისა და ორგანიზაციებისთვის, ვისაც ადმინისტრაციულ ორგანოებთან ბიზნეს/საქმიანი ურთიერთობა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით უწევს, მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მიღებისას, ელექტრონულ დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა სავალდებულოა.

311. სავალდებულო არის თუ არა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ქონა ბიზნეს სუბიექტისთვის?

სავალდებულოა, თუ ის ურთიერთობისთვის ირჩევს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა.

312. სავალდებულო არის თუ არა ქონდეს ელექტრონული ხელმოწერა ან შტამპი შემსყიდველ ორგანიზაციას?

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ელექტრონულ დოკუმენტზე შეასრულოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასვას კვალიფიციური ელექტრონული შტამპი. შესაბამისად, საკმარისია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ელექტრონულ დოკუმენტზე

კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა. სავალდებულოა ჰქონდეს ან ელექტრონული ხელმოწერა ან შტამპი.

313. რა ტიპის დოკუმენტზე ხორციელდება კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან შტამპის გამოყენება?

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა შესაძლებელია მხოლოდ PDF ფორმატის დოკუმენტებზე.

314. სად შეიძლება კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის და ელექტრონული შტამპის მიღება?

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „იუსტიციის სახლში“.

315. როგორ ხორციელდება კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება?

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის გამოყენებით, რისთვისაც აუცილებელია პირს ჰქონდეს პირადობის ელექტრონული მოწმობა და პირადობის ელექტრონული მოწმობის PIN კოდების კონვერტი.

316. იმ შემთხვევაში თუ პირს დაკარგული აქვს ელექტრონული მოწმობის PIN კოდის კონვერტი ვის უნდა მიმართოს და ხდება თუ არა მისი აღდგენა?

იმ შემთხვევაში თუ პირმა დაკარგა PIN კოდის კონვერტი მის აღსადგენად უნდა მიმართოთ იუსტიციის სახლს.

317. შესაძლებელია თუ არა სატენდერო/საკონკურსო კომისიამ შეადგინოს სხდომის ოქმები ელექტრონულად და შემდეგ მასზე შესრულდეს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა?

კომისიის წევრებს შეუძლიათ სხდომის ოქმი თავიდანვე შეადგინონ ელექტრონულად, მერე კი წევრებმა მასზე შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა. ამ წესით შედგენილი დოკუმენტი შესაძლებელია პირდაპირ აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. კომისიის წევრები უფლებამოსილი არიან ასევე, ოქმი შეადგინონ მატერიალურად და მატერიალურადვე მოაწერონ მას ხელი, თუმცა, ამ შემთხვევაში, ასეთ ოქმს დასკანერების შემდგომ, სისტემაში ატვირთვამდე, დასჭირდება ან ხელახლა წევრების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება, ან შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კვალიფიციური შტამპით დამოწმება.

318. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების მხრიდან რომელი დოკუმენტები უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული კვალიფიციური ხელმოწერით ან შტამპით?

პრეტენდენტი ვალდებულია, მის მიერ შექმნილი, წინადადების სახით წარსადგენი დოკუმენტები (მაგ., ფასების ცხრილი, ინფორმაცია საკუთარი გამოცდილების შესახებ, საგარანტიო პირობები და ა.შ.). დაამოწმოს/დაადასტუროს კვალიფიციური ხელმოწერით/კვალიფიციური შტამპით. აღნიშნულისთვის პრეტენდენტს აქვს ორი შესაძლო გზა: ყველა PDF დოკუმენტი სათითაოდ დაამოწმოს/დაადასტუროს კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით; გააერთიანოს წარსადგენი დოკუმენტები ერთ PDF ფაილად, ხოლო თუ ერთი ფაილის ზომა აღემატება 20 მეგაბაიტს – რამდენიმე PDF ფაილად და ის/ისინი დაამოწმოს/დაადასტუროს კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით.

319. პრეტენდენტმა უნდა განახორციელოს თუ არა ელექტრონული კვალიფიციური ხელმოწერა ან შტამპის დასმა უსეთ დოკუმენტებზე, რომელიც გაცემულია მესამე პირების მირე?

რაც შეეხება სატენდერო/საკონკურსო პირობებით მოთხოვნილ სხვა დამატებით ინფორმაციას, მაგალითად: გეგმები და პროექტის ნახაზები, დასკვნები, MAF, უცხოური დოკუმენტების თარგმანი, ექსპერტიზის დასკვნები, აკრედიტაცია/ნებართვა, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტები, დიპლომი/სიგელი/სერთიფიკატი, ტექპასპორტი, ფოტოსურათი, ესკიზი და სხვა, მათ დამატებით აღარ ესაჭიროება კვალიფიციური

ხელმოწერა ან/და კვალიფიციური შტამპი, რადგან კანონმდებლობა არ მოითხოვს სისტემაში დოკუმენტის დამოწმებული ასლების ატვირთვას. იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს დანართი დოკუმენტების, რომლებიც გაცემულია მესამე პირის მიერ ან რომელზეც მიმწოდებლის გარდა შესრულებულია სხვა პირის ხელმოწერა, დამოწმებული ასლების ატვირთვას, ასეთი დოკუმენტის ელექტრონულ ვერსიაზე საჭიროა მისი ხელმომწერი პირ(ებ)ის კვალიფიციური ხელმოწერა ან/და კვალიფიციური შტამპი. თუ ამა თუ იმ მიზეზის გამო ასეთი ელექტრონული დოკუმენტი ვერ მოწმდება შესაბამისი პირის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და შტამპით, ამ შემთხვევაში, პრეტენდენტმა სისტემაში უნდა ატვირთოს მატერიალური დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებულ ელექტრონული ასლი.

320. მიმწოდებლისთვის/პრეტენდენტისთვის სავალდებულოა თუ არა ჰქონდეს როგორც კვალიფიციური ხელმოწერა, ასევე შტამპი?

საკმარისია ჰქონდეს ან ელექტრონული ხელმოწერა ან შტამპი, ორივე სავალდებულო არ არის.

321. აქვთ თუ არა უფლება ანგარიშგების დროს ხელშეკრულების მხარეებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტები წარადგინონ ნოტარიულად დამოწმებული სახით?

ანგარიშგების სახით სისტემაში ასატვირთი დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, მასში ცვლილება, მისი შესრულება/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მიღება-ჩაბარების აქტები, მომართვის წერილები და ა.შ.), როგორც ტენდერის/კონკურსის, ასევე გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში: მხარეებს შეუძლიათ თავიდანვე შეადგინონ დოკუმენტი ელექტრონულად, როგორც შემსყიდველმა ორგანიზაციამ/მისმა უფლებამოსილმა პირმა და ასევე მიმწოდებელმა ორგანიზაციამ/მისმა უფლებამოსილმა პირმა უნდა დაამოწმოს/დაადასტუროს კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით და შემდეგ აიტვირთოს სისტემაში. მხარეები უფლებამოსილი არიან, დოკუმენტი შეადგინონ მატერიალურად და მატერიალურადვე მოაწერონ მას ხელი, ხოლო შემდგომ, დასკანერებულია ვერსია ან თავადვე დაამოწმონ/დაადასტურონ კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით, ან სისტემაში

აიტვირთოს მატერიალური დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ელექტრონული ასლი.

322. რომელი დოკუმენტები არ საჭიროებენ კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით დადასტურებას?

კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით დადასტურებას არ საჭიროებს ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც უკვე დამოწმებულია/დადასტურებულია კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით. (გარდა ასეთი დოკუმენტის ამონაბეჭდისა, რომელიც დასკანერების შემდეგ თავიდან საჭიროებს დამოწმება/დადასტურებას) ან სხვა დოკუმენტი, რომლის მიმართაც საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს დოკუმენტზე ხელმოწერის შესრულებას ან/და შტამპის დასმას.

323. პრეტენდენტის მიერ სახელწმიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტი, რომელიც არ არის ხელმოწერილი არც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით და არც შტამპით ითვლება თუ არა დოკუმენტად?

აღნიშნული არ ჩაითვლება დოკუმენტად რადგან, მასზე არ არის კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებული ხელმოწერა.

324. სავალდებულოა თუ არა ექსელის ფაილზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან შტამპის დასმა?

არ არის სავალდებულო, რადგან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა შესაძლებელია მხოლოდ PDF ფორმატის დოკუმენტებზე.

სხვა

325. როგორ შეუძლიათ იმოქმედონ შესყიდვით დაინტერესებულმა პირებმა იმ შემთხვევაში როდესაც მათ მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შეუძლიათ ტენდერით/კონკურსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება?

შესყიდვით დაინტერესებულ პირებს, რომელთაც მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შეუძლიათ ვალდებულებების შესრულება, გააჩნიათ წინადადების ამხანაგობის ფორმით წარდგენის შესაძლებლობა. ტენდერში/კონკურსში ერთობლივად მონაწილეობის მიზნით, ორ ან რამდენიმე მიმწოდებელს უფლება აქვს, გაერთიანდეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებას მიმწოდებლები აფორმებენ წერილობითი ფორმით, რომელიც უნდა შეიცავდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ საკითხებს.

326. რა ინფორმაცია მიეთითება სატენდერო წინადადებაში დღგ-სთან დაკავშირებით?

ინფორმაცია არის თუ არა მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელი და მისი წინადადება დღგ-ს გათვალისწინებითაა წარმოდგენილი თუ მის გარეშე.

327. ვრცელდება თუ არა სახელმწიფო შესყიდვების კანონი რელიგიურ ორგანიზაციებზე?

სახელმწიფო შესყიდვების კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულ რელიგიურ ორგანიზაციებზე.

328. უფლებამოსილია თუ არა შემსყიდველი ორგანიზაცია მიიღოს მისი კანცელარიის მეშვეობით პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია?

ელექტრონულ ტენდერში/კონკურსში შემსყიდველ ორგანიზაციასა და პრეტენდენტს შორის კორესპონდენციის გაცვლა უნდა მოხდეს მხოლოდ ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

329. აქვს თუ არა უფლება შემსყიდველ ორგანიზაციას ატვირთოს პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც უნდა ატვირთოს პრეტენდენტმა?

არ აქვს.

330. რა ინფორმაცია უნდა აისახოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებში?

სატენდერო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა აისახოს სატენდერო კომისიის შესაბამის სხდომის ოქმში. სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:

ა) სატენდერო კომისიის დასახელება;

ბ) სხდომის დრო და ადგილი;

გ) სატენდერო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების ვინაობა (მათ შორის, დათქმა იმ წევრზე, რომელიც არ ესწრება სხდომას);

დ) განხილვის საგანი;

ე) სატენდერო კომისიის მსჯელობა;

ვ) სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული ექსპერტებისა და კონსულტანტების მოსაზრება (არსებობის შემთხვევაში);

ზ) ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომელსაც ეყრდნობა სატენდერო კომისია;

თ) კენჭისყრის შედეგები;

ი) მიღებული გადაწყვეტილება.

331. შესაძლებელია თუ არა შესყიდვის განხორციელების დროს გამოყენებული იქნას განსხვავებული შესყიდვის პროცედურები?

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი ადგენს გამონაკლის, რომელის მიხედვითაც სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, გერმანიის

რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ განსაზღვრული შესყიდვების პროცედურები, თუ ეს ორგანიზაციები არიან შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილენი. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილენი, მათი, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების შესყიდვების პროცედურები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

332. ვალდებულია თუ არა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი, რომელიც არ არის დღგ-ს გადამხდელი ტენდერში მონაწილეობის მომენტისთვის გაითვალისწინოს თავის სატენდერო წინადადებაში დღგ-ს თანხა და წინადადება წარადგინოს დღგ-ს გათვალისწინებით?

იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის დღგ-ს გადამხდელი, იგი ვალდებული არ არის სატენდერო წინადადების ფასში გაითვალისწინოს დღგ-ს თანხა.

333. შესაძლებელია თუ არა გამარტივებული შესყიდვა განხორციელდეს ერთობლივად?

შემსყიდველ ორგანიზაციათა შეთანხმებით, გამარტივებული შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს ერთობლივად.

334. რა პრინციპით ხდება გამარტივებული შესყიდვის ერთობლივად განხორციელება?

შემსყიდველ ორგანიზაციათა შეთანხმება სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელების თაობაზე იდება წერილობით ფორმით, რომელსაც ხელს აწერენ შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ან მათ მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები. იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი შესყიდვა ხორციელდება ერთ სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ, ერთობლივი შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ზემდგომი თანამდებობის პირის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

335. რა არის შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტები?

იდენტური, ასევე არაიდენტური, მაგრამ მსგავსი კომპონენტების, ტექნიკური მაჩვენებლების (მახასიათებლების) ან/და ფუნქციების მქონე შესყიდვის ობიექტები. ერთგვაროვანი შესყიდვის ის ობიექტები, რომელთაც CPV-კოდის პირველი სამი ციფრი საერთო აქვთ.

336. რას გულისხმობს შესყიდვის ხელოვნური დაყოფა?

შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის რაოდენობის ან მოცულობის შემცირებას ან/და დაყოფას, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაციისთვის წინასწარ ცნობილია, რომ იმავე საბიუჯეტო წლის განმავლობაში აუცილებელი გახდება იმავე ან მისი ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტის დამატებით შესყიდვა და დამატებითი შესყიდვისთვის სახსრები წინასწარვეა გათვალისწინებული იმავე საბიუჯეტო წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.

337. რა იგულისხმება ხარისხის გაუარესებაში და როგორ ხდება მისი თავიდან აცილება?

ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით გარკვეული შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს ტენდერის ჩატარების გარეშე იმ მიმწოდებლისგან, რომლისგანაც უკვე მოხდა გარკვეული შესყიდვის განხორციელება. მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსახორციელებელი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას.

338. არის თუ არა სატელეფონო მომსახურების შესყიდვა ფიჭური კავშირგაბმულობა?

სატელეფონო მომსახურების (landline) შესყიდვა ფიჭური კავშირგაბმულობა არ არის.

339. შესაძლებელია თუ არა გამარტივებული შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერისთვის დადგენილი პროცედურებით?

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, გამარტივებული შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ტენდერისთვის დადგენილი პროცედურების გამოყენებით.

340. რა შემთხვევაში შეუძლია პრეტენდენტს წარადგინოს ალტერნატიული წინადადება?

ალტერნატიული წინადადების წარდგენა დაუშვებელია.

341. რა შემთხვევაში იყენებს შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვის ობიექტის აღწერისას ტერმინებს „მსგავსი“, „ეკვივალენტური“?

სატენდერო კომისია ვალდებულია, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური, შესრულების ან/და ფუნქციური სპეციფიკაციების აღწერისას გამოყენებული ტექსტური მასალები და სხვა მაჩვენებლები შეუსაბამოს საერთაშორისო, ევროპის ან საქართველოს სტანდარტებს. სატენდერო კომისია ვალდებულია, მიუთითოს შესაბამისი გამოყენებული სტანდარტი (არსებობის შემთხვევაში). დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერის სხვა საშუალება არ არსებობს, რაც უნდა დასაბუთდეს. ასეთ შემთხვევაში აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ტერმინი „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“ და სხვა.

342. აუდიტის მიერ ხდება შესყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვის შემოწმება?

სახელმწიფო აუდიტის სამსახური შესყიდვას ამოწმებს შემსყიდველი ორგანიზაციის აუდიტის მეშვეობით.

343. ვალდებულია თუ არა შესყიდვის მონაწილე შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტი?

შესყიდვის მონაწილე ვალდებულია, შემსყიდველ ორგანიზაციას, მისი მოთხოვნით, წარუდგინოს შესყიდვასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია.